მოიპოვეს იმით, რომ იტალიის სხვა კომპანიები ამარაგებდნენ მათ (და არა მხოლოდ მათ, ეს “სხვა კომპანიები” მსოფლიოს ორ მესამედს ამარაგებდნენ) ძვირფასი ლითონების გადამუშავებისა და სამკაულების წარმოებისათვის საჭირო მანქანებით. ამასთან, რომბის ეს დეტერმინანტი ის უპირატესობაა, რომელიც, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე განაპირობებს წარმოების ხარჯების (ტრანსპორტირების, კავშირგაბმულობის, ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული და ა.შ.) შემცირებას. გარდა ამისა, ინოვაციის ნაკადი და ადგილობრივ ერთმანეთთან დაკავშირებულ სფეროებში ტექნიკური საკითხების გაცვლა-გამოცვლა აჩქარებს ინოვაციას და განახლების ტემპს, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის მეოთხე დეტერმინანტი – კომპანიების მყარი სტრატეგია, სტრუქტურა და მეტოქეობა ქმნის იმ კონკურენტულ გარემოს, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიათა ჩამოყალიბებაზე, ორგანიზებასა და მართვაზე და გარკვეულწილად წარმართავს მენეჯერულ სისტემასაც. ძლიერ ადგილობრივ კომპანიებს შორის კონკურენციის არსებობა კონკურენტული უპირატესობის შექმნის ძლიერი სტიმულია საერთაშორისო არენაზე. მაგალითად, შვეიცარიაში ფარმაკოლოგიურ კომპანიებს შორის მეტოქეობამ უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ ამ სფეროში ქვეყანას ერთ-ერთი წამყვანი მდგომარეობა ჰქონდა მსოფლიოში. იაპონიაში გააფთრებულმა კონკურენციამ ელექტრონიკაში, მანქანათმშენებლობაში, ნახევარგამტარების, აუდიოდანადგარების, ფოტოაპარატებისა და ა.შ. წარმოებაში, განამტკიცა ამ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო არენაზე. ასევე, აშშ-ში ძლიერმა მეტოქეობამ ტელეკომუნიკაციების მწარმოებელ კომპნიებში განაპირობა კონკურენტუნარიანობის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი მსოფლიოში [3].

ამრიგად, გეოგრაფიული კონცენტრაცია ზრდის ადგილობრივ მეტოქეობას. პორტერის აზრით, რაც უფრო ლოკალიზებულია კონკურენცია, მით უფრო ინტენსიური და, აქედან გამომდინარე, უკეთესია იგი [1.90]. ქვეყნის შიგა ბაზარზე ადგილობრივი მეტოქეები უბიძგებენ ერთმანეთს ფასების დაწევისაკენ, ხარისხისა და მომსახურების გაუმჯობესებისაკენ.

ზემოთ განხილული ოთხი დეტერმინანტი მთლიანობაში ქმნის ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენტულ სფეროებში მაღალტექნოლოგიური პარკების – კლასტერების წარმოშობას [4.49]. მაიკლ პორტერის აზრით, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრიზმაში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა განხილული უნდა იყოს არა ცალკეული კომპანიების, არამედ კლასტერების მიხედვით [2.221-222]. კლასტერები მნიშვნელოვან როლს ასრულებს დღეს მსოფლიოში ძალზე პოპულარული მოწოდების – “დღევანდელი ინოვაციებით მოაძველეთ თქვენი გუშინდელი პროდუქცია” – რეალიზაციაში.

ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბი თავისი დეტერმინანტებით ხელს უწყობს მის გამოყენებას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, საბოლოო ანგარიშით კი – მსოფლიო ეკონომიკის პროგრესს.

საქართველოში ეკონომიკის სწრაფი მოდერნიზაციისთვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კონკურენციის გლობალიზაციისა და ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის დეტერმინანტების მოთხოვნებს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვან მიმართულებებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **Porter M**. The Competitive Advantaged of Nations. "Harvard Business Review". 1990, #2.
2. **Портер М. К**онкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев, Издательский дом «Вильямс», 2000.
3. **Портер М.** Международная конкуренция. М., «Международные отношения», 1993.
4. **ასათიანი რ.** ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კონკურენციის გლობალიზაცია. "შრომები". V ტომი. ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., გამომცემლობა "სიახლე", 2005.
5. **Кетелс К., Портер М.** Конкурентоспособность: экономике нужны ясные цели; www.vedomosti.ru/newspaper/article/2007/11/26/136711
6. **ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები". I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., "უნივერსალი", 2008.
7. http://www.clelt,ru/2001/12/uzbashianz-12.html



***Rozeta Asatiani***
*Doctor of Economic Sciences,*
*Full Professor of Georgian*
*Technical University*


## RHOMBUS OF NATIONAL COMPETITIVE ADVANTAGE

### Summary


In contemporary global economy the issue of the country's welfare is associated with the globalization of competitiveness. There are four determinants of the national competitiveness which can e presented as the sides of rhombus.

1. Factors like skilled workforce, technologies, administrative and physical infrastructure, capital markets, supply conditions.

2. The internal demand which prompts companies to modernize and to meet the standards and challenges of local demand.

3. The existence of competitive industries which support the international competitiveness.

4. The long-term strategy of the companies and competition between them creates the competitive environment which influences the managerial systems of the companies which is the great stimulus for the developing of the competitive advantage of the country as a whole.

## ეკონომიკური თეორია

***Альфред Курaташвили***
*Доктор экономических наук*

# ПРИНЦИПИАЛЬНЫЕ РАЗЛИЧИЯ ГОСУДАРСТВЕННЫХ СИСТЕМ И ИХ КЛАССИФИКАЦИЯ

Исследование различий социально-экономических систем и конструирование их новой классификации имеет принципиальное значение, ибо в решении этих проблем заложена необходимая интеллектуальная основа определения оптимальных путей в ориентации общества и государства.

Считаю необходимым отметить, что проблемы социально-экономического развития общества непосредственно связаны с проблемой политического менеджмента.

Проблема же политического менеджмента, в свою очередь, непосредственно связана с творческим осмыслением происходящих в мире процессов, с раскрытием сущности общественно-государственных систем и выявлением специфических особенностей этих систем, а, следовательно, с их классификацией.

В связи с проблемой эффективного управления обществом и государством в условиях, которую я называю кратократией, *т. е. в условиях, когда государственной властью владеет государственная власть, а не народ, что вполне естественно, ибо власть народа практически неосуществима,* главным является то, какой цели служит та или иная форма управления, т. е. определяющей является созданная мной философия цели – как исходная научная основа функционирования общества и государства [1].

Следовательно, классификация общественно-государственных систем, *по моему глубокому убеждению,* должна основываться на философии цели, *тогда как по формам и методам управления эти системы могут быть авторитарными, тоталитарными или плюралистическими.*

Таким образом, на основе научного анализа и качественно нового – творческого – осмысления общественно-государственных систем мной была разработана принципиально новая классификация этих систем.

В соответствии с разработанной мной целевой классификацией общественно-государственных систем, *т. е. в соответствии с целевой направленностью этих систем,* должны быть выделены два типа общественно-государственных систем:

1. Общественно-государственная система, которая основывается на философии, называемой мной философией средств – *основывается на философии самоцели экономических средств, и которая служит самоцели экономических средств;*

2. Общественно-государственная система, которая основывается на философии социальной цели, и *которая служит реализации социальной цели.*

Более рельефно и уточненно, в соответствии с созданной мной целевой классификацией общественно-государственных систем – может быть выделено пять типов общественно-государственных систем:

1. Общественно-государственная система, которая основывается на философии средств – на философии самоцели экономических средств, и которая служит средствам реализации цели, *примером которой является капитализм (истинный капитализм), где господствуют – капитал, деньги, рынок;*

2. Общественно-государственная система, которая основывается на философии социальной цели, и которая служит реализации социальной цели, для достижения которой она *(общественно-государственная система)* использует все пути, формы и

методы, если они исключают антисоциальные, антигуманные, антинравственные явления [2, с. 93].

*Примером отмеченной общественно-государственной системы должно стать* истинно человеческое общество и государство, которое, *согласно созданным мной соответствующим научным теориям,* должно представлять собой высшую и постоянно развивающуюся стадию социально нацеленной, цивилизованной и гуманистической общественно-государственной системы;

3. Общественно-государственная система, которая в основном основывается на философии средств – *на философии самоцели экономических средств,* но которая, *вместе с тем,* имеет объективно обусловленную ориентацию на практическую реализацию философии социальной цели, и которая, соответственно, наряду с экономической целью на передний план выдвигает социальную ориентацию, *т. е. необходимость решения социальных проблем,* наглядным примером которой является социокапитализм, теория которого была создана мной ранее и опубликована еще в 1990 году [3].

*Вместе с тем,* социокапитализм *фактически уже не является капитализмом в традиционном понимании этой общественно-государственной системы* (*т. е. не является классическим капитализмом*), ибо социокапитализм является по форме эволюционным, но по своему содержанию революционным переходным периодом от классического капитализма – к истинно человеческому обществу.

4. Общественно-государственная система, которая руководствуется социальной целью, и которая представляет собой по форме эволюционный, но по своему содержанию революционный переходный период от Административного социализма Сталинского типа – к истинно человеческому обществу, *без возвращения назад к капитализму,* ярким практическим примером которого является общественно-государственная система современного Китая, которая от Административного социализма Сталинского типа с Китайской спецификой, *по моему глубокому убеждению,* идет не назад к капитализму, а идет вперед по пути строительства истинно человеческого общества.

*Важно здесь обратить особое внимание на то, что* я вовсе не пытаюсь доказывать, будто бы ныне Китай является более развитой страной вообще, и, в частности, с точки зрения реализации интересов народа, чем развитые капиталистические страны мира, которые по уровню своего развития находятся на стадии социокапитализма, и к которому (к социокапитализму) они шли столетиями.

Однако на примере Китая я пытаюсь обосновать, как страна Административного социализма *Сталинского типа* может ускоренными темпами идти вперед по пути строительства истинно человеческого общества и государства – *по пути реализации интересов народа,* вместо возвращения назад к дикому, грабительскому, криминальному капитализму – *с господством денег, прибыли, капитала над народом.*

Таким образом, политическая система, которая идет от Сталинского Административного социализма – к истинно человеческому обществу, является общественно-государственной системой, которая фактически основывается на философии социальной цели, и которая использует все пути, формы и методы для реализации социальной цели, если эти пути, формы и методы исключают антисоциальные, антигуманные, антинравственные явления.

*Вместе с тем,* это вовсе не означает возвращение Сталинского Административного социализма – назад к капитализму *(как кажется некоторым "экспертам", которые являются апологетами капитализма, но сознательно или подсознательно находятся в рабстве марксизма, в виду чего они считают, что будто бы капитализм – это частная собственность, а социализм – это так называемая общественная собственность, и которым, вместе с тем, кажется, будто бы капитализм находится впереди, а не сзади?!),* ибо истинный капитализм является общественно-государст-

венной системой, которая основывается на философии средств – *на философии самоцели экономических средств.*

*Следовательно,* капитализм – это политическая система, цель которой – деньги, прибыль, капитал, *и которая тоже использует все пути, формы и методы, но которая использует, в том числе, и неприемлемые с точки зрения интересов народа, пути, формы и методы, ибо эти пути, формы и методы используются не в интересах человека, не в интересах народа – не в интересах реализации социальной цели, а для реализации самоцели экономических средств;*

5. Общественно-государственная система, которая основывается на философии средств – на философии самоцели экономических средств, и которая реально представляет собой контрреволюционный переходный период (а не эволюционную посткоммунистическую трансформацию в капитализм, как считают некоторые ученые и политики [4]) от Сталинского Административного социализма (переросшего после смерти И. В. Сталина в псевдосоциализм) – назад к дикому, грабительскому капитализму, то есть – назад к тому капитализму, который спас себя – смог спасти себя от “загнивания” и “умирания” – путем эволюционной трансформации в социокапитализм.

Таким образом, отмеченная общественно-государственная система является той политической системой, *в которой используются все пути, формы и методы, но, в том числе, также – антиконституционные и криминальные пути, формы и методы, незаконно “узаконенные” и скрытые средства и способы для обогащения отдельных людей за счет ограбления государства и народа.*

Кроме вышеизложенной целевой классификации общественно-государственных систем, *в соответствии с созданной мной же – с учетом форм и методов управления – классификацией общественно-государственных систем, должны быть выделены три типа политических (общественно-государственных) систем:*

1. Авторитарная государственная система, когда верховной властью владеет только одна личность, то есть когда управление государством осуществляется только по воле и желанию одной личности, с учетом или без учета воли, желания и интересов народа;

2. Тоталитарная государственная система, когда верховной властью владеет одна группа людей, то есть когда господствующая группа людей управляет государством, с учетом или без учета воли, желания и интересов народа.

Хотя, и в данном случае определяющую роль играет, как правило, одна личность – лидер государства, в виду чего тоталитарное государство в то же время фактически может быть авторитарным государством;

3. Плюралистическая государственная система, когда существуют разные ветви власти и когда люди могут активно высказывать свое мнение по тем или иным вопросам функционирования и управления общественно-государственной системой, хотя и в данном случае фактически может иметь место авторитарное и/или тоталитарное правление.

Таким образом, все три отмеченных типа общественно-государственных систем могут существовать и проявляться в разных формах, но в соответствии с философией цели, главное – *это цель, которой служит та или иная общественно-государственная система, и, соответственно, принципиальное значение имеет целевая классификация этих систем, то есть классификация общественно-государственных систем в соответствии с их целевой направленностью,* ибо в соответствии с созданной мной методологией, *как уже отмечалось*, все пути, формы и методы оправданы, если они служат интересам народа – если служат интересам каждого человека, и если, *вместе с тем,* исключают антисоциальные, антигуманные, антинравственные явления [2, с. 93].

В результате всего вышеизложенного приходим к логическому выводу, что с точки зрения интересов человека наиболее приемлемой общественно-государственной

системой является истинно человеческое общество и государство, т.е. та общественно-государственная система, политический менеджмент которой нацелен на реализацию интересов народа.

### Использованная литература


1. **Кураташвили Альфред А.** Философия социальной цели. *Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси. Международное издательство «Прогресс», 2003.
2. **Кураташвили Альфред А**. Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: “Актуальные проблемы теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси. “Мецниереба”, 1980.
3. **Кураташвили Альфред А.** Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: “Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках” (15 марта 1990 г.). Тбилиси. “Мецниереба”, 1990.
4. **Бальцерович Лешек.** Социализм, капитализм, трансформация: Очерки на рубеже эпох /Пер. с польск. – М.:”Наука”, Изд-во УРАО, 1999.



***Alfred Kuratashvili***
*Doctor of Economic Sciences, Professor*


## BASIC DISTINCTIONS OF THE STATE SYSTEMS AND THEIR CLASSIFICATION


### Summary

In scientific work there is given the analysis of basic distinctions of social-state systems and is offered their new classification created by the author which is based on the philosophy of the purpose and philosophy of the social purpose also created by him.

## ცოდნის ეკონომიკა

***როლანდ სარჩიმელია,***
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*
***ლია ჩარექიშვილი,***
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

# ცოდნის ეკონომიკა, როგორც მეცნიერების, განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გამაერთიანებელი

მეცნიერება უშუალოდაა დაკავშირებული ცოდნის მიღებასთან. იგი აღრმავებს და ზრდის ცოდნის გამოყენების მასშტაბებს. ცოდნის ეკონომიკა მეცნიერებისა და განათლების სისტემების სრულყოფას ემსახურება.

ცოდნის ეკონომიკაზე დაყრდნობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისი მექანიზმის ფორმირება და მისი უშუალო მისადაგება ჩვენს დაუზუსტებელ პირობებთან სარისკო საქმეა, რაც განსაკუთრებით ეხება მიზნობრივი და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნას და შესაბამისი ინვესტორების მოზიდვას. მათი ჩვენს ქვეყანაში რეალიზებისათვის მნიშვნელოვანი და საიმედო იყო ევროკავშირის პროგრამები, როდესაც ისინი ითვალისწინებენ დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებას ისეთი დარგების განვითარებით, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

მეცნიერებისა და განათლების სისტემებთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ქვეყანაში მათი თვითორგანიზებადი ერთიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირება სახელმწიფო დონეზე, რაც პოსტკომუნისტურ საქართველოში თავიდანვე ყურადღების გარეშე დარჩა, მაგრამ მოსახლეობის საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო მოძრაობა (მსსმ), რიგი წინააღმდეგობების მიუხედავად, დაბალ დონეზე მაინც აგრძელებს "თითქოს უმნიშვნელო ფუნქციონირებას". თუმცა შესაძლოა, იგი გააქტიურდეს, რაც იქნება ცოდნის ეკონომიკის შემდგომი სრულყოფის პროცესის შედეგი მეცნიერებისა და განათლების ერთიან სისტემაში [1, გვ. 471; 2; 3]. იგი დაკავშირებულია ქვეყანაში უწყვეტი განათლების და სპეციალობის მიღებასთან, რომელიც მსსმ-ით წარიმართება. ამ მხრივ საიმედო ხდება ქვეყნის სასიკეთოდ თაობათა ცვლაზე ხელის შეწყობა და შესაძლებლობების გამოვლენა. განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს საშუალო სკოლის ახალგაზრდობასთან ურთიერთობები, განპირობებული მათი "გადამზადების" უცხოეთის პროგრამებით. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ადგილობრივი პედაგოგებისა და მეცნიერ კადრთა გამოცდილების გაუთვალისწინებლობის გამო "ტვინების გადინების" პროცესის მასშტაბები იზრდება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით ცოდნის ეკონომიკაზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცოდნის ეკონომიკას ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება [4, გვ. 28-30], რამდენადაც იგი ცივილიზებულად განვითარებულ ქვეყანაში ცოდნის ღირებულების დადგენასა და კადრების ადგილზე დამაგრებას ემსახურება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესახებ შემოქმედებითი ცოდნა დროში სინერგიის თვისებას იძენს. გამომდინარე, თვითორგანიზების შემდგომი გაღრმავებიდან ყალიბდება ჰომეოსტაზის პრინციპი ისე, რომ მისი მეშვეობით მაღალ მეცნიერულ დონეზე აყვანილი და ადამიანთა საზოგადოებაში გაძლიერებული ცოდნის ეკონომიკის შესაძლებლობები მაღლდება. თუ მოსალოდნე-

ლია პარალოგიზმის* მიერ აღმავლობის შეცვლა, მაშინ ცოდნის ეკონომიკის ორი მხარე გამოვლინდება: ერთი მხრივ, დადებითი შედეგები, მათი გაუმჯობესების შესაძლებლობებით და მეორე მხრივ ალბათობით შეფასებული (ან შესაფასებელი) მოსალოდნელი ზარალი (მაგალითად, ასანთის წარმოების ტექნოლოგია დროში იხვეწება, მარტივდება და ეფექტიანი ხდება. მაგრამ, თუკი რამდენიმე თაობის მეხსიერებიდან მისი წარმოების ტექნოლოგიაზე ინფორმაცია დავიწყებას მიეცემა, მაშინ ასანთის წარმოება თავიდან აღმოსაჩენი გახდება).

დღევანდელ ცივილიზებულ საზოგადოებაში ტექნოლოგიების ცოდნაზე ინფორმაციის დაკარგვა თითქმის გამორიცხულია, მაგრამ არის სხვა შემთხვევა, როდესაც ამას მეტი ალბათობით შეიძლება ჰქონდეს ადგილი. საქართველოს მთიან რეგიონებსა და სოფლად მეოცე საუკუნის დასაწყისში იწერებოდა საკვები პროდუქტების ოჯახური უნიკალური ტექნოლოგიის არსებობის შესახებ. ამაზე ფილიპე გოგიჩაიშვილმა ნაშრომში [5, გვ. 47-146] მიანიშნა. ამჟამად ასეთი ტექნოლოგიები და ბევრი მისი მსგავსი საქართველოში თითქმის დაკარგულია, ზოგი კი დავიწყებას ეძლევა, მაგალითად, ცალკეული გადმოცემები ხალხური მედიცინის რიგი საოცრებებიდან, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სოფლად მცხოვრებთა რიცხოვნობის კატასტროფულად შემცირება. შედეგად გამოდის, რომ მნიშვნელოვანი ტექნოლოგია თავიდან აღმოსაჩენი ხდება ან საერთოდ იკარგება.

აღმოჩენის შემოქმედი მეცნიერია, ხოლო უფრო მეტად საპასუხისმგებლოა გამოგონება, რომელიც, თუკი საზოგადოების საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული თუნდაც ცალკეულ შემთხვევებში, მაშინ მეცნიერი ამის თანამონაწილედ ჩაითვლება. ცნობილია ისიც, რომ ამჟამად გამოგონება მეცნიერების მძიმე შრომით მიიღწევა და მასში წამყვანია როგორც ცოდნა, ასევე მისი ეკონომიკა. დიდი მეცნიერული ენთუზიაზმი და თავდადებაა საჭირო კვლევისთვის, მაგრამ ის არ არის საკმარისი გამოგონებისთვის.

ასეთი სირთულეების გამო და გლობალიზაციის დიდი იმედების მიუხედავად, არ უნდა დავიჯეროთ ისიც, რომ უცხოეთის სახელმწიფოები გამოგონებებს უსასყიდლოდ დაგვითმობენ, გარდა იშვიათი შემთხვევისა (თუმცა ამასაც შესაბამისი საკმარისი ღირებულების მოტივი ექნება). აქედან გამოსავალი მეცნიერებისა და განათლების ერთიანობაა, მაგრამ მეტად დამამცირებელი და დიდი უსამართლობაა ის, რომ მეცნიერება თითქმის ჩამოცილებულია განათლებაზე უშუალო მზრუნველობისგან. ამასთან, საკმაოდ მძიმე ვითარებაა უმაღლესი განათლების მიღებისა და სპეციალისტების გამოშვების სფეროში. თუმცა შესაძლებლობა მაინც არსებობს, რადგან საიმედოა საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელიც გამოცდილებასა და საფუძვლიან ცოდნას თითქმის უანგაროდ გადასცემს ახალ თაობებს, რაც გლობალიზაციის შესაბამისად პოსტკომუნისტურ საქართველოში უნდა გააქტიურდეს. უფრო ზუსტად, საჭიროა ამისთვის სათანადო პირობების შექმნა. ეს ძირითადად ეხება ძველი თაობის გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური კადრების გამოყენებას. ამჟამად ეკონომიკისა და კულტურის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც დაფუძნებულია მზარდ კავშირებზე, მსოფლიოში ქვეყნებისა და მათი საზოგადოებების კეთილსინდისიერი ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების საფუძველია. იგი, პირველ რიგში, მეცნიერთა და პედაგოგთა ხანგრძლივი, გულმოდგინე და უანგაროდ თავდადებული შრომით იწყება. ამას ანვითარებს და ამითაც მოსახლეობის კეთილ ნებას გამოხატავს ქვეყანაში დემოკრატიულად

---

* უნებლიედ დაშვებული შეცდომის გამოყენება.

არჩეული მთავრობა. თუმცა ამ მხრივ ცალკეულ ქვეყნებში მეცნიერებისა და განათლების თავისუფლება შეზღუდულია [8, გვ. 367].

მოსალოდნელია, მოსახლეობის ნაწილი დიდხანს დარჩეს გაბრიყვებული, მაგრამ დიდია გლობალიზაციის როლი და სულიერად განწმენდის ღვთის მადლით განპირობებული კეთილსინდისიერ გზაზე ადამიანების დადგომის ძალა, რომლის ერთ-ერთი არსებითი გამოვლინებაა სიღარიბის დაძლევა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდანვე მსოფლიოში ეკონომიკის მდგრადი განვითარების მაგისტრალურ გზებზე დადგომის შესაძლებლობები.

გლობალიზაციის და ცივილიზაციის მაღალი დონის შესაბამისად, კომპიუტერიზაციის განვითარებამ მსოფლიო საზოგადოება, აზროვნების სისტემატიზაციის მეშვეობით, განვითარების ახალ საფეხურზე გადაიყვანა, რომელზედაც მოთხოვნილება კიდევ უფრო იზრდება. იგი, უკეთეს შემთხვევაში, იმას ნიშნავს, რომ ადამიანები სამყაროს მართვასთან ერთად კომპიუტერების კოლოსალურ შესაძლებლობაზე უფრო მაღალი დონით გააგრძელებენ მის სიღრმისეულ აღქმას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანებში მეცნიერული აზროვნების მასობრიობა მკვიდრდება, რომელსაც, ტექნიკური პროგრესის განვითარების კვალდაკვალ, იმპულსებს არა მარტო განათლების სისტემის მუდმივი ცვლილებები აძლევს, არამედ, გლობალიზაციის გაღრმავების პირობებში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში თვით მეცნიერების პერსპექტივა და მათი განვითარების მაღალი ტემპები მოითხოვს პირობების შექმნას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ მოსალოდნელია ქვეყანაში შესაბამისი კაპიტალდაბანდების და ინვესტიციების გამოყენების მაღალი ეფექტიანობის დაფუძნება.

ასეთი და მსგავსი პროცესების შემდგომი დაკონკრეტება-სრულყოფის შესაბამისად დაისმის პრობლემები მეცნიერებისა და განათლების სისტემების კადრებით (მათ შორის მენეჯერებით უზრუნველყოფით) შემოქმედებითი მოღვაწეობის გასააქტიურებლად და ღონისძიებების გასატარებლად პოსტკომუნისტურ საქართველოში. ყოველივე ამას ახლავს სირთულეები, როდესაც ცოდნაზე "ფასის დადება" უშუალოდ არ არის შესაძლებელი, იგი უფრო ადრე პირობითი იყო, ამჟამად თვისებრივი მაჩვენებლებით გაზომვა საქმეს არ შველის (როგორიცაა მაღალი, საშუალო, დაბალი დონეები). თუმცა მიმდინარე ტექნოლოგიების შესაბამისად მასზე ახალი დანახარჯების დამატებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგი მოიცავს გაუთვალისწინებელ შემთხვევებსაც და მოგვიანებით ზუსტდება, ხოლო ეკონომიკური რისკის გამოყენება, დივერსიფიკაციასთან ერთად, მეცნიერული შედეგების გაფართოებისკენ იკვლევს გზას, განსაკუთრებით მაშინ თუკი მათზე მოთხოვნა არსებობს და მაღალი ინვესტიციებით უზრუნველყოფის შესაძლებლობებიც შეიძლება გამოვლინდეს. ამაში მნიშვნელოვანია ცოდნის ეკონომიკის სრულყოფა, რაც, თავის მხრივ, მეცნიერებასა და განათლებას აკვალიანებს.

მეცნიერება წამყვანია აღმოჩენების მისაღებად. იგი ასევე განათლებისა და ტექნიკური პროგრესის გზის გამკაფავია. თვით მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნაში გაძლიერებული ცოდნის ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფორმირების გარეშე მეცნიერებას უჭირს განვითარება, ხოლო გამოგონებას არ ექმნება სათანადო პირობები. ამ მხრივ ქვეყნის პერსპექტივისთვის თითქოს შედარებით ადვილი სამართავია განათლებისა და სპეციალობის მიღება, თუმცა მასაც მეცნიერების მზრუნველობის გააქტიურება სჭირდება. მიიჩნევენ, რომ სამეცნიერო ტექნოლოგიური ინოვაციები გახდა წარმოების ზრდის საფუძველი, რომელიც კიდევ უფრო ეფექტიანი იქნება ხელისუფლების მიერ ინოვაციური საქმიანობისადმი ხელის შეწყობით და ცოდნის ეკონომიკის საწარმოო პროცესებთანაც დაახლოებით [6, გვ. 198-223], თუმცა ესეც არარეალურია თუ მას აკლია მეცნიერული სიღრმე.

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა მით უფრო წარმატებული ხდება, რაც უფრო მეტს ხარჯავს იგი მშპ-დან მეცნიერებაში. ამ მხრივ საქართველოში მძიმე მდგომარეობაა, რომლის მიუხედავად ქვეყანას აქვს წარსულის გამოცდილების განახლების შესაძლებლობა, რომელსაც ამჟამადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ჩვენი ქვეყნის ყველა თაობის პატრიოტიზმისა და ერის კეთილდღეობისათვის მეცნიერულ აზრობრივ ხედვასაც აძლიერებს, რაც კიდევ უფრო არსებითი გახდება ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში, რასაც მომავალი აქვს...

პაატა გუგუშვილი აღნიშნავდა იმის შესახებ [7, გვ. 29], რომ ახალგაზრდობა იბრძვის არა იმდენად არსებობის საშუალებებისთვის, რამდენადაც ცხოვრების აზრისთვის (იგულისხმება მომავალიც), რაც ამჟამად ცოდნის ეკონომიკის ღირებულების მქონეა და ბოლომდე შეუფასებელ შემადგენლობას განეკუთვნება.

განათლებასა და მეცნიერებაში გასათვალისწინებელია ბევრი რამ, თუმცა ამას კეთილსინდისიერი საზოგადოება დროში წინააღმდეგობების მიუხედავად მაინც არეგულირებს, რაც ადამიანთა საზოგადოებაში წერა-კითხვის სწავლიდან დაწყებული, სიღრმისეული საკითხების განხილვა-დაუფლებასთან ერთად ძლიერდება. ცოდნის გადაცემით მიმდინარეობს გონების წვრთნა და განათლების მაღალ დონეზე აყვანა, სპეციალობის დაუფლება-სრულყოფა. მეცნიერული დონე მცირე დოზით მაინც ყოველ ადამიანში ყალიბდება, რაც ცოდნის ეკონომიკაში უფრო ნათლად გამოვლინდება. ადამიანის მოღვაწეობა მეცნიერების, ხელოვნების ან სხვა სფეროებში ბევრად აქტიურდება, როდესაც ცდილობს თავისი შედეგები უცხოეთში გაიტანოს ან აამაღლოს ისეთ დონემდე, რომ გლობალიზაციის ტალღას მაინც მიჰყვეს და დაფასდეს მისი შრომა ან საერთოდ მსოფლიოს მეცნიერული შედეგები არ დაეკარგოს.

ანალოგები შესაძლებლობას იძლევა გამჭვირვალედ წარმოვიდგინოთ ზემოთ დახასიათებული მეცნიერული ცოდნის შექმნის რთული პროცესი. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანოთ მაგალითი. როდესაც მოლუსკს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მისთვის სახიფათო გარეშე სხეულის ზემოქმედებას. მისგან მიღებული უარყოფითი ქმედებების გასაუვნებლად მოლუსკი თავისი უნიკალური რეაქციის უნარით ამ უცხო სხეულის შემოფარგვლისთვის მარგალიტს გამოიმუშავებს. ამით მოლუსკი ამ გაჭირვებიდან თავს მაინც ვერ დააღწევს, მაგრამ მძიმე მდგომარეობას შეიმსუბუქებს და თავისდაუნებურად იშვიათ საგანძურს – მარგალიტს ქმნის...**

ის, რაც მოლუსკს დიდი გაჭირვების მდგომარეობიდან გამოსაყვანად ახასიათებს მარგალიტის შექმნით, ნიჭიერი ადამიანის, თან როგორც გენიოსის, "დაავადების" ანალოგიაა. ამიტომ გენიოსის მოღვაწეობის სიმძიმე პოსტკომუნისტურ საქართველოშიც არც ისე ადვილი გადასატანია. იშვიათია ისიც, რომ ადამიანი თავისი გენიალური შემოქმედების შესაბამისად სიცოცხლეშივე დაფასდეს. მოსალოდნელია, საზოგადოებამ დროულად ვერ აღიქვას გენიოსი. თუ ადამიანს არ მიეცა საშუალება, გამოავლინოს თავისი ნიჭიერება, მაშინ ასეთი ადამიანი იგივურ კანონზომიერებებს მიეკუთვნება: გაჩნდა, იარსება და იგივური კანონზომიერებით ქვეყნისგან "ჩამოეწერა". გარდაცვალების შემდეგაც დედამიწაზე ადამიანის უკვდავება ასევე გენიოსის ხვედრია, რადგან იგი იგივეობა არ არის. ამის ახსნის საშუალებას სინერგიის ეფექტიანობის გათვალისწინება

** ბუნების ასეთი საოცრება რეალური რომც არ იყოს, მაინც მივანიშნებდით, რადგან მეცნიერებისთვის მსგავსი "შემოქმედება" დამახასიათებელია.

იძლევა. გენიოს ადამიანთა აზროვნების მოწესრიგებული ერთიანობა თვითორგანიზების სინერგიულ ენერგიას ძლიერი მუხტით აამოქმედებს, ხოლო ამ მუხტის მომავლისათვის ფიქსირება, სხვა რაიმეც რომ არ გაკეთდეს, უკვე ისაა, რომლის გამოც ამ ადამიანთა ერთიანობა მომავლისათვის იგივეობად რომ არ ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კატასტროფას აქვს ადგილი, მაგრამ ეს ძალიან მცირე ალბათობითაა მოსალოდნელი (რაც პრაქტიკულად გამორიცხულია).

უდიდესი სინერგიის მატარებელია ეროვნული სახელმწიფო, თუ იგი ქვეყნის შიგნით ორგანიზებულია პატრიოტული ძალებით და, ამასთან, გააქტიურებულია გენეტიკური პროცესებით. ფიზიკური გამრავლება, კერძო საკუთრებაში დამცავი მექანიზმით გამოწვეული სიმდიდრე, სამართლიანი გზებით ახალ თაობებს გადაეცემა; მეცნიერების განვითარება კიდევ უფრო მაღალ სინერგიულ დონეზე ამაღლდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეცნიერება და რელიგია შინაარსობრივადაც ერთიანდება, სადაც სინერგია ღვთისა და ადამიანის ენერგიის შერწყმა და გამთლიანებაა [8, გვ. 4-5].

ბედნიერია ის საზოგადოება, რომელსაც აქვს უნარი, შეკრიბოს ყოველგვარი სიკეთის მიმართულებით მოღვაწე გენიოსები და შეუქმნას მათ პროგრესულ შესაძლებლობათა სრული გამოვლენის პირობები. პირველ რიგში იმ ქვეყნის სასიკეთოდ, სადაც ის მოღვაწეობს და შემდგომ ამ შედეგების გასავრცელებლად მსოფლიოში თუკი მას ამისათვის სათანადო კარგი პირობები შეექმნება.

[9, გვ. 36]-ის თანახმად, გამოვყოფთ თვითდინებაზე მიშვებული განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე მსჯელობას, მათ შორის საქართველოში, სადაც სისტემური აზროვნება აფიქსირებს ეკონომიკის სწრაფვას მხოლოდ “წამიერი სარგებლის მისაღებად”. ამას კი არა აქვს უნარი, ორიენტირებული იყოს ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგების ასათვისებლად, რადგან მასში დავიწყებულია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შესაძლებლობები. კიდევ უარესი შემთხვევაა, როდესაც სამეცნიერო პროდუქციაზე არ არის მოთხოვნა, მაშინ ასეთი სისტემა “დახშულ სივრცეში” ექცევა. ასე მაგალითად, საქართველოს ახალგაზრდობაში მოთხოვნა და დაფასებაც შესაბამის პერსპექტიულ მეცნიერულ ცოდნაზე ათეული წლების განმავლობაში იყო შესუსტებული. ამით მეცნიერებისა და განათლების პრიორიტეტი დავიწყებას ეძლეოდა. ქვეყნის ეკონომიკა არ იყო ორიენტირებული ფუნდამენტური გამოკვლევების შედეგების ათვისებაზე. შედეგად პოსტკომუნისტურ საქართველოში ჩამოყალიბდა “ტვინების გადინების” აქტიური პროცესი, რომლის ძირითადი მიზეზია ის, რომ განვითარებად ქვეყნებში არის დაბალი ხელფასები. საქართველოში მცირეა მეცნიერებაზე სახელმწიფო ასიგნებათა წილი (მაგალითად, 1995 წელს იგი მშპ-ს 0,12 % შეადგენდა [8, გვ. 4-5]).

მნიშვნელოვანია მოსახლეობის განათლების მაღალი დონე, როდესაც იგი შერწყმულია წარმოების სრულყოფის ზრუნვის ტრადიციებთან. საქართველოსთვის გენეტიკურად თითქოს დამახასიათებელი გახდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი უკიდურესობანი. ამაზე საკმაოდ შინაარსობრივად მიანიშნებდა ფილიპე გოგიჩაიშვილი [9, გვ. 35], რომ ჩვენ, ქართველები რაც უფრო წინ მივდივართ სწავლა განათლებით, მით უფრო უკან ვიწევთ საეკონომიო ბარაქიანობითა და ნივთიერი კულტურით. ეს მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე მძიმე წარსულიდან მემკვიდრეობით “გვერგო” და მას არც 21-ე საუკუნის დასაწყისში დაუკარგავს აქტუალურობა.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რაოდენობის სიჭარბე (მათზე მოთხოვნა თავიდანვე არ იყო გათვალისწინებუ-

ლი). ამჟამად, უმაღლესდამთავრებულთა მომზადება და ბაზრის მოთხოვნები არაადეკვატურია, რაც არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა, იგი სხვა ქვეყნისთვისაც დამახასიათებელია.

ამერიკული სასკოლო სისტემის დამახასიათებელი ნიშანია სწავლების ღრმა დიფერენციაცია [10, გვ. 84]. დაწყებითი განათლების ეტაპზე ხდება მოსწავლეთა პირობითი დაყოფა "ნიჭიერებად", "უნარიანებად" და "უუნაროებად". ასეთი დაყოფა ეყრდნობა ე. წ. "თანდაყოლილი უნარის" თეორიას, რომლის მიხედვითაც, ბავშვის ინტელექტუალური უნარიდან 80% გენეტიკურია და 20% გარემო პირობების გავლენა; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში ახალგაზრდობის პროფორიენტაციის უნარის გაღვივება სკოლიდან იწყება. ეს არის ხელისუფლების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და შექმნილია შესაბამისი მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა.

საქართველოსაგან განსხვავებით, აშშ-ში უმაღლეს დონეზე დგას პროფორიენტაციის სახელმწიფო სისტემა. უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აგრძელებენ მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომელთა მოწოდებაა არჩეული სპეციალობა. თუ რაიმე შეუსაბამობა ხდება, სწავლების პირველ და მეორე წელს სწორდება. სტუდენტი, რომელიც მოცემული უმაღლესი სასწავლებლისათვის შეუფერებელია, ტოვებს მას. საერთოდ, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების მსურველთა რიცხვი მცირეა, ხოლო გაცილებით მეტია იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც საშუალო ან დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ საშუალო პროფესიულ განათლებას იღებს და პროფორიენტაციის მიხედვით იძენს პროფესიას წარმოება-დაწესებულებებში სამუშაოდ. რა მდგომარეობაა განათლების მიღების მხრივ ჩვენს ქვეყანაში? მოვიშველიოთ სტატისტიკა [12]: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თითქმის 90% სახელმწიფოა. 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 1408 მოსწავლე მოდიოდა (ნაცვლად 1586-ისა 2001-2002 სასწავლო წელს).

2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე 232 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი მოდიოდა, ნაცვლად 2001-2002 წლის 334-ისა; მაშინ, როცა 1914 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე გაანგარიშებით, ერთ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაზე 1 სტუდენტი მოდიოდა, 1921 წელს – 36, 1965 წელს – 170; 1990 წელს – 190; 2000 წელს – 302.

რაც შეეხება უმაღლესი დაწესებულებიდან სპეციალისტების გამოშვებას, მოსახლეობის 10 ათას კაცზე გაანგარიშებით 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისათვის მისი რაოდენობა 40 კაცს უდრიდა, ნაცვლად 2001-2002 წლის 49-ისა.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCED-97) VI დონე სამეცნიერო კადრების მომზადებაა. 2009 წელს, საქართველოში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე 9 დოქტორანტი მოდიოდა.

ის, რაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა განათლების ეკონომიკის მიმართულების შესახებ საუკუნის წინ აღნიშნა, ამჟამადაც პოსტსაბჭოთა საქართველოს პრობლემაა. ესაა პრაქტიკული საქმიანობისათვის შესაფერისი "სულიერი მიდრეკილების განვითარება ახალგაზრდობაში". ამ მიმართებით სიძნელეთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მეცნიერებისა და განათლების სისტემები საქართველოში ერთმანეთთან არ არის ორგანულად შერწყმული, მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა წინა პლანზე ისევ იქნეს წამოწეული მეცნიერებისა და განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც თვითორგანიზებადი გახდება მოსახლეო-

ბის საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო მოძრაობის პროგრესული გზით წარმართვის შემთხვევაში.

დღეს ისევ გვჭირდება ყურადღების დაძაბვა და ფილიპე გოგიჩაიშვილის დასკვნების განახლება საქართველოს ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად. მაშინ, როდესაც ქვეყანაში დაბალია წარმოების თვითორგანიზების დონე, სათანადოდ არ ფასდება კეთილსინდისიერი მწარმოებლური შრომა, ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ასულა განვითარების ისეთ დონეზე, რომ შემოქმედებითად წარიმართოს პატერნიზაციის და პარეტოს ოპტიმუმის პრინციპები.

თუ გავაანალიზებთ ფილიპე გოგიჩაიშვილის ზემოთ მოყვანილ შეფასებას, რომელიც ეხება სწავლა-განათლების საეკონომიო ბარაქიანობაზე გავლენას, მაშინ ნათლად წარმოვიდგენთ იმასაც, რომ ამჟამადაც ანალოგიური მდგომარეობაა პოსტსაბჭოთა საქართველოში. უფრო უარესიც, კვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების დეფიციტია, ხოლო დაბალი დონის დიპლომიანი სპეციალისტების სიჭარბეა, მათ მომზადებაზე გაწეული დანახარჯები კი საკმაოდ მაღალია. განათლების დაწესებულებების და მოსახლეობის მიერ განათლების მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების გამოკვლევის მონაცემების მიხედვით: “განათლების მომსახურების მიღებისათვის მოსახლეობის მიერ დასახელებული ხარჯები 1,9-ჯერ აღემატებოდა განათლების დაწესებულებების მომსახურების დეკლარირებულ მაჩვენებელს” (ეს და მასთან დაკავშირებული სტატისტიკა ამჟამად ხვდება დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვის სფეროში).

საკითხის ასეთი განხილვისას იქმნება აუცილებლობა, რომ შრომის მწარმოებლურობის მაქსიმიზაციის პირობით დადგინდეს სპეციალისტებზე მოთხოვნა-გამოშვების შესაძლო საზღვრები. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია შემოქმედებითადაც (და არა მხოლოდ მინიშნებით) გაანალიზდეს საქართველოში უმაღლესი დაწესებულების დამთავრების შემდეგ რამდენი ახალგაზრდა იწყებს სპეციალობით მუშაობას. ამასთან ერთად, პერსპექტიულია ფუნქციონალური განათლების სპეციალურად ორგანიზებული კვლევა.

ზემოთ აღნიშნულის განხორციელება პოსტკომუნისტურ საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ დაიხვეწა მეცნიერებისა და განათლების ერთიანი თვითორგანიზებადი ეკონომიკური სისტემა, რომელსაც იმის კოორდინირება შეეძლება, თუ რა რაოდენობით სჭირდება ქვეყანას მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორ უნდა ამაღლდეს ქვეყანაში განათლების დონე და რა მიმართულებით განვითარდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

მტპ-ის მიღწევებმა, ცივილიზაციის გზაზე დაყენებით, ძირფესვიანად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების პირობები, ხოლო 21-ე საუკუნის დასაწყისიდანვე მეცნიერების ყველა ცვლილება [13, გვ. 39-43] კაცობრიობის კეთილდღეობისკენ არის მიმართული, რაც ინფორმაციული საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს. სტუდენტთა გაცვლით, მტპ-ის ფართო გამოყენების დასაჩქარებლად ახალი ცოდნის წარმოებას აძლიერებენ.

მეცნიერებისა და განათლების პრობლემებზე ანალოგიური აზროვნების განმაპირობებელი და გამაერთიანებელი ცოდნის ეკონომიკაა [4; 6 გვ. 98-112], რომელსაც გამაძლიერებელ იმპულსებს, ჩვენი აზრითაც, გლობალიზაცია აძლევს. მათი გავლენით პოსტკომუნისტურ საქართველოში მეცნიერებისა და განათლების შესაძლებლობების სრულყოფა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისკენ წარიმართება.

თუკი მსოფლიოში მტპ-სათვის დამახასიათებელი იყო უმუშევრობის გაზრდა, უკვე 21-ე საუკუნიდან იწყება მოსახლეობის დასაქმების გზების გამოვლენა. მაგალითად, კომპიუტერიზაციით მოსახლეობის დასაქმება. ცოდნის

ეკონომიკამ მეცნიერებისა და განათლების გაძლიერებით და გლობალიზაციით უნდა შეძლოს სიღარიბის პრობლემის დაძლევა. იგი რეალური გახდება მსოფლიოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მტპ-ის ახალ საოცრებათა დიდი მასშტაბების ვარიანტების შექმნით, რაც საიმედოა საქართველოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობითაც გლობალიზაციის პროცესებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. სარჩიმელია რ., მეცნიერებისა და განათლების თვითორგანიზებადი ეკონომიკური სისტემის ფორმირების წინაპირობები საქართველოში. სამეცნიერო ნაშრომების კრებული, ტომი I, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, "მეცნიერება", 2000.
2. სარჩიმელია რ., ჩარექიშვილი ლ., საქართველოს მოსახლეობის საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო მოძრაობის შემოქმედებითად წარმართვისათვის, თსუ სოხუმის ფილიალის ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბილისი 2000, მოხსნებათა თეზისები.
3. სარჩიმელია რ., ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილების პირობებში. თბილისი 1989, "მეცნიერება".
4. გრიშიკაშვილი ა., ცოდნის ეკონომიკის განვითარება სახელმწიფოს პირდაპირი ფუნქციაა, ჟ. "მაკრო მიკრო ეკონომიკა" 3 (76), 2004.
5. გოგიჩაიშვილი ფ., ხელოსნობა საქართველოში, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1976.
6. ლ. ჩიქავა, ინოვაციური ეკონომიკა, თბილისი, "სიახლე", 2006.
7. გუგუშვილი პ., ახალგაზრდობის სოციოლოგიის საკითხები, თბილისი, "განათლება", 1981.
8. საქართველოს პატრიარქის ილია II სიტყვა, ჟ. "კრიალოსანი", 2009.
9. ი. ფრანგიშვილი, სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები, ჟ. "კომენტარი", 1, 2003.
10. გოგიჩაიშვილი ფ., წერილები, მოგონებები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1993.
11. ვ. სართანია, "განათლების ეკონომიკა", თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2001.
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მასალები, თბილისი, 2009.
13. В. Макаров. Об экономическом развитии и не только в контексте будущих достижений науки и техники. Вопросы экономики, 2008.

***Roland Sarchimelia,***
*Doctor of Economic Sciences;*
***Lia Charekishvili,***
*Academic Doctor of Economic Sciences.*

## KNOWLEDGE ECONOMICS AS UNISON OF SCIENTIFIC, EDUCATIONAL AND TECHNICAL PROGRESS

**Summary**

The work reviews the specifics of the Knowledge Economics in Georgia, which is considered as unifier and appraiser of scientific, educational, and technical progress, when the value of the knowledge is not possible to evaluate. One of the specifics is that there are no enough investments in the country to make scientific-technical inventions successful.

It is designated that Educational and Economic staff in Georgia is evaluated only by qualitative indices. Realization of educational qualification movement system inside the population reserves of our country and stirring up the process of exchanging the knowledge between the generations is left without attention. The science is pretty much removed from the direct responsibility of taking care and controlling the educational system.

The views of famous scientist-economists Paata Gugushvili and Philipe Gogichai-shvili about knowledge economics and the specifics of educational system are reviewed.

## სასურსათო უსაფრთხოება

*თენგიზ ქავთარაძე*
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
*ჯემალ გუგუშვილი*
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

# ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ფუძემდებლური პრინციპები და ძირითადი მიმართულებები

სასურსათო უსაფრთხოება წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უშიშროების ერთ-ერთ მთავარ საკითხს. სასურსათო უსაფრთხოება ნიშნავს, რომ ადამიანის ჯანსაღი და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის საჭირო სურსათი ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისათვის.

1991 წლის შემდეგ საქართველოში სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, რაც უკავშირდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, პრივატიზაციის და მიწის რეფორმის დაწყებას და თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას. ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობით, სოფლად მწარმოებელსა და ქალაქად მომხმარებელს შორის კავშირები ძალზე სუსტია. მოსახლეობის მიერ მოხმარებულ სურსათში დიდია იმპორტის ხვედრითი წილი (სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულად ითვლება, თუ მოხმარებული სურსათის 15-20 პროცენტზე მეტი იმპორტულია). ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუარესდა საკუთარი წარმოების პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. მაგალითად, 2008 წელს ხორცით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 12 პროცენტამდე შემცირდა, 2001 წელს არსებული 32 და 2005 წლის 21 პროცენტის ნაცვლად. ბოსტნეულითა და კარტოფილით თვითუზრუნველყოფამ შესაბამისად 86 პროცენტი შეადგინა ადრე არსებული 100 პროცენტის ნაცვლად. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცით უზრუნველყოფამ 68, ღორის ხორცით – 47 და ფრინველის ხორცით – 26 პროცენტი შეადგინა შესაბამისად, 2005 წელს არსებული 87, 84 და 46 პროცენტის ნაცვლად. ერთადერთი პროდუქცია, რომლითაც საკუთარი წარმოების პროდუქციით მოსახლეობა იყო უზრუნველყოფილი, ესაა ცხვრისა და თხის ხორცი [2].

ქვეყანა სულ უფრო მეტად ხდება იმპორტდამოკიდებული და იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებას არავითარი ყურადღება არ ექცევა. უფრო მეტიც, იმპორტზე ორიენტაცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი, რადგან შემოტანილ პროდუქციაზე დარიცხული გადასახადები ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტში შემოსავლების ძირითადი კატეგორია წარმოების (მომსახურების) ზრდიდან მიღებული გადასახადები იყოს. 2008 წელს საქართველოში შემოიტანეს 942 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, მაშინ, როდესაც წინა წლებში იგი 500-200 მილიონის ფარგლებში მერყეობდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთი პროდუქციის იმპორტს, რომლებიც საქართველოში არ იწარმოება, რჩება 780 მლნ აშშ დოლარის პროდუქცია, რომლის წარმოება სავსებით შესაძლებელია საქართველოში. თუ დავუკვირდებით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების მაჩვენებლებს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, დავინახავთ, რამდენად სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, რადგანაც, როგორც წარმოების, ისე მოხმარების მაჩვენებლები მკვეთრად ჩამორჩება ნორმატიული მოთხოვნილებების საჭირო მაჩვენებლებს.

ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა საფუძველი ჩაუყარა ასკ-ის ფორმირებასა და განვითარებას, მაგრამ რეფორმირების პროცესში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოუყენებლობამ შეასუსტა ასკ-ის ფორმირების პროცესების და მისი ქვეკომპლექსების მუშაობა. შემცირდა წარმოების მასშტაბები და ქვეყანაში წარმოიშვა ეკონომიკური კრიზისი. დღის წესრიგში დადგა ასკ-ის ინტეგრაციული პროცესების გეგმაზომიერი რეგულირების თეორიული სიღრმისეული შესწავლა. ამ მიმართულებით ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრი რამ შესასწავლია, მაგრამ ბევრი საკითხი კვლავაც სადისკუსიო და გადაუწყვეტელია.

ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის შემცირებასთან ერთად ხდება ასკ-ის სტრუქტურის რღვევა, მის ფორმირებაში უარყოფითი კანონზომიერებების მკვეთრად გამოვლინება. მაგალითად, ბოლო პერიოდში მკვეთრად დაეცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების დონე; სერიოზული დისპროპორციები წარმოიშვა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირურთიერთობაში. შეწყდა ასკ-ის ფორმირების პროცესები, შემცირდა I და IV სფეროების ხვედრითი წილი, გაიზარდა სოფლის მეურნეობის (I სფეროს) ხვედრითი წილი; ჩამოყალიბდა ასკ-ის არასრულყოფილი სტრუქტურა. სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობამ გარკვეულწილად შეცვალა სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა. მეწარმის ინტერესებში მოექცა ნაკლებად კაპიტალტევადი და ნაკლებად მასალატევადი პროდუქციის წარმოება, თუმცა მისი საქონლიანობის პოტენცია საბაზისო დარგებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია, რაც საკუთარი მოთხოვნილებისა და შიდა ბაზრის მოთხოვნილებაზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების გაფართოებამ გამოიწვია.

მოიშალა მიწათმოქმედების გაძღოლის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადად ექსტენსიური მეთოდები გამოიყენება. გასარწყავებული მიწების რაოდენობა 150–180 ათას ჰექტრამდე შემცირდა 420–450 ათასი ჰექტრის ნაცვლად; ორგანული და მინერალური სასუქები, პესტიციდები და ჰერბიციდები ადრინდელთან შედარებით 3,5–4-ჯერ ნაკლები გამოიყენება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კოლხეთის დაბლობზე რვაჯერაა შემცირებული და 20–22 ათასს შეადგენს, ძლიერდება მეორადი დაჭაობების პროცესები. ქვეყანაში იზრდება დამლაშებული ბიცობი ნიადაგების ფართობები, დაწყებულია გაუდაბნოების პროცესი, ეროზირებული მიწების ფართობმა 1 მლნ ჰექტარს გადააჭარბა, ყოველწლიურად დაუმუშავებელი რჩება სახნავი მიწების 50–60 პროცენტი და ა.შ. ასეთ ვითარებაში წარმოების გაძღოლამ და მძიმე კლიმატურმა პირობებმა სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყო გარანტირებული მაღალი მოსავლით, რის გამოც შეუძლებელი გახდა კაპიტალის დაგროვება თუნდაც მარტივი კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად გამოწვეულია ასკ-ის რღვევით და მის სფეროებს შორის წარმოშობილი დისპროპორციებით. ადრე ქვეყანაში, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების მსგავსად, თუ ფუნქციონირებდა ასკ-ში პროდუქციის წარმოების ქვეკომპლექსები (ხილისა და ბოსტნეულის საკონსერვო, მევენახეობა-მეღვინეობის, მარცვლეულის წარმოებისა და პურპროდუქტების, ხორცისა და რძის მრეწველობის და ა.შ.) ახლა ისინი ძირითადად გაჩერებულია. ამის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ადგილი აქვს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების შემცირებას, მეურნეობის შიდა მოხმარებაზე ორიენტირებას, რაც ქვეყანაში შექმნილი საერთო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით აიხსნება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირების ერთ-ერთ მთავარ

მიზეზად, სხვა ფაქტორებთან (მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა უზრუნველყოფის დაბალი დონე, საბრუნავი, ფინანსური სახსრების დეფიციტი, ბაზრის გაჯერების ხარისხი და სხვა) ერთად, დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენების დაბალი დონე უნდა იქნეს მიჩნეული. ეს უკანასკნელი კი აპირობებს რეგიონების ჭრილში სასურსათო პროდუქციის წარმოების ქვეკომპლექსების ფორმირების შეფერხებას და, საერთო ჯამში, ქვეყნის ასკ-ის ფორმირების განვითარების პროცესის შეზღუდვას. მაგალითად, 1988–1990 წლებში რეგიონის დონეზე მეხილეობა-მებოსტნეობის ქვეკომპლექსი განიცდიდა სტრუქტურულ გაუმჯობესებას და ოპტიმალური თანაფარდობისაკენ სფეროების ფორმირების ხასიათს იღებდა, იზრდებოდა I და IV სფეროების ხვედრითი წილი და შესაბამისად მცირდებოდა II და III სფეროების მაჩვენებლები. მაგრამ, როდესაც რეფორმის მიმდინარეობის პროცესში ქაოსი და ნგრევა წარმოიშვა, დაირღვა დარგთაშორისი პროპორციულობა და ბოლო პერიოდში გაბატონებული ადგილი დაიკავა II და III სფეროებმა, უმნიშვნელო ხვედრითი წილი კი – I და IV სფეროებმა. აღნიშნული ქვეკომპლექსის ფორმირებისათვის, ჩვენი გათვლებით, საჭიროა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დაჩქარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, წარმოების ინტენსიფიკაციისა და კონცენტრაციის დონის ამაღლება. ამას მოითხოვს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა. ხელი უნდა შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რათა ის კონკურენტუნარიანი და მომგებიანი გახდეს და მოგება კვლავ რეინვესტირდეს წარმოებაში. საჭიროა ამოქმედდეს სახელმწიფო ხელშეწყობის შესაძლებლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სამეცნიერო კვლევითი შედეგების წარმოებაში დანერგვა, კრედიტის ხელმისაწვდომობა; საჭიროა განისაზღვროს სოფლის ინფრასტრუქტურაში სახელმწიფო ინვესტიციების გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ინფრასტრუქტურის შემდგომი პრივატიზების საჭიროებას.

ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების გატარების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად მიგვაჩნია ქალაქის მოსახლეობის სურსათით მოხმარებასა და სოფლის მოსახლეობის მიერ წარმოებულ პროდუქციას შორის კავშირების გაძლიერება. საჭიროა პირველადი პროდუქციის ადგილობრივი წარმოების ძირითადი საბაზრო ელემენტებისათვის (როგორიცაა გადამმუშავებელი საწარმოები და საბითუმო ცენტრები) ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მათ მისცემდა აღდგენის საშუალებას. ეს გულისხმობს მათთვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდას, რესტრუქტურიზაციისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებების გატარების ხელშეწყობას. ქალაქის მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარებაში არსებული უარყოფითი ტენდენციების დადებითისაკენ შემობრუნების მიზნით საჭიროა დროებითი პროტექციონისტული ზომების მიღება, რომელიც, ამავე დროს, წინააღმდეგობაში არ იქნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან. ერთ-ერთ ასეთ ზომას ეფექტიანი ანტიდემპინგური კანონმდებლობის შემუშავება და დაუყოვნებლივ ამოქმედება წარმოადგენს. ამასთანავე, საჭიროა სურსათის ევროკავშირის და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე წარმოების მხარდაჭერა, რაც გამოიხატება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად სურსათის უსაფრთხოებისა და ხარისხის მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბებაში. სურსათის მწარმოებლებს ხელი უნდა შეეწყოთ აღნიშნული სტანდარტების ათვისებაში.

საქართველოში სურსათით უსაფრთხოების განსაზღვრისას, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების და გადანაწილების სტრატეგიის შემუშავებისას, შემოქმედებითადაა გასააზრებელი წარმატებული აგრარული პოლიტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. მეურნეობათა ზომების სახელმწიფო რეგუ-

ლირებისას გასათვალისწინებელია ამ ქვეყნებში აპრობირებული ეკონომიკური და სამართლებრივი პრინციპები და მეთოდები. უნდა დადგინდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით.

სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების მქონე გლეხური მეურნეობების 43,2%-ს გააჩნია 0,5 ჰა-ზე ნაკლები; 0,5–0,99 ჰა მიწა გააჩნია მეურნეობების 32%-ს, ე.ი. 75,2%-ს, 1,0–1,99 ჰა-მდე ჰქონდა მხოლოდ მეურნეობების 18,3%-ს, 2–2,99 ჰა – 3%-ს და 3,4 ჰა – მეურნეობების 1,4 %-ს.

სოფლად სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნების, ხალხის დასაქმებისა და სოფლის მოსახლეობისაგან დაცლის შეჩერების მიზნით, განსაკუთრებით მთის ზონის სოფლებში, რიგი განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებული მცირე და საშუალო ზომის მეურნეობების შენარჩუნება ვიდრე მსხვილი მეურნეობების ფუნქციონირება წვრილი მეურნეობების გამსხვილების ხარჯზე.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია და მისი ფუნქციონირება მოითხოვს აგრობიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. ცნობილია, რომ ბოლო ათ წელიწადში ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო მთლიანად შეწყდა ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების დაფინანსება. მაშინ, როდესაც სახელმწიფო სუბვენციები ჩრდილოეთის ან რთული გეოკლიმატური პირობების მქონე განვითარებულ ქვეყნებში (ნორვეგია, შვეიცარია) ჰექტარზე 2500 აშშ დოლარს აღემატება, ხოლო იაპონიაში 10000 დოლარსაც კი აღწევს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დოტაციების გარეშე, საქართველოში, განსაკუთრებით ქვეყნის მთიან ზონაში, მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება წამგებიანია. იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ბაზარზე 1 კგ ხორბლის ფასი 10 ცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კულტურის მოსავლიანობა საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში ჰექტარზე 2 ტონას არ აღემატება (ევროპის ქვეყნებს შორის უარესი მაჩვენებელი მხოლოდ რუსეთსა და პორტუგალიაშია, ხოლო ბენილუქსის ქვეყნებში, ბრიტანეთის კუნძულებსა და დანიაში საშუალო მოსავლიანობა 8 ტ/ჰა აღემატება), ცხადი ხდება, რომ პატარა ფართობებზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებშიც კი ძნელი იქნება სამამულო კონკურენტიანი ხორბლის მოვლა-მოყვანა. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის ამაღლება, წარმოების მოცულობის ოპტიმიზაცია, პირველ რიგში კი ისეთი კულტურების მოყვანაზე ორიენტაცია, რომელთა მოყვანა იმ ქვეყნებში არ ხდება (ჩაი, კაკალი, თხილი, ეგზოტიკური ხილი და ა.შ).

სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტის თვალსაზრისით, კარგი იქნებოდა, ევროკავშირის ქვეყნებიდან შეგვესწავლა და გამოგვეყენებინა აგრარული სექტორისადმი მხარდაჭერის პროგრამული ხასიათი. გატარებული ღონისძიებები ამ ქვეყნებში უფრო მრავალფეროვანი, კანონმდებლობით რეგლამენტირებული და ფართომასშტაბიანია. ევროკავშირის ქვეყნების აგრარული სექტორი რეგულირდება ორ დონეზე: 1. ცალკეული სახელმწიფოს მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და 2. თვით ევროკავშირის ერთიანი სტრუქტურების მეშვეობით.

საბერძნეთში 2000–2006 წლებში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა მოქმედებდა. პროგრამის მთლიანი ღირებულება იყო 2684,4 მლნ ევრო. ამავე დროს, 993,4 მლნ ევრო გრანტის სახით ეძლეოდა ევროკავშირის

სასოფლო-სამეურნეო კომისიისაგან. პროგრამა მოიცავდა ქვეყნის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონს და დამატებით დასაფინანსებელ ღონისძიებებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა 2000–2006 წლებში ჰოლანდიაში მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო სექტორის რესტრუქტურიზაციას. პროგრამის მთლიანი ღირებულება შეადგენდა 1057,39 მლნ ევროს, მათ შორის ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ხელმძღვანელობის დახმარებას – 417 მლნ ევროს.

სახელმწიფო მხარდაჭერა ავსტრიის სოფლის მეურნეობისათვის აღნიშნულ პერიოდში შეადგენდა 421,07 მლნ ევროს, აქედან ევროკავშირის წილად მოდიოდა 178,07 მლნ ევრო და ა.შ.

მოყვანილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, სახელმწიფო მაინც გამოდის სოფლის მეურნეობაში ეკონომიკის ძირითად მარეგულირებელ რგოლად, გამოყოფს უდიდეს დახმარებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ყოველნაირად უწყობს ხელს ფერმერული მეურნეობის განვითარებას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ არის მხოლოდ კერძო საკუთრებაზე გადასვლა, სახელმწიფოს ჩაურევლობა. ფასების ქაოსური ზრდა, თვითნებობა და განუკითხაობა – პირიქით, იგი გულისხმობს დემოკრატიულ მართვას, კანონისა და კანონიერების უზრუნველყოფას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს აგრარულ სექტორში ეკონომიკურ ურთიერთობათა ოპტიმალური რეგულირება მიზნობრივად შემუშავებული პროგრამების განხორციელებით; სამწუხაროდ, ასეთი პროგრამები (ერთეული გამონაკლისის გარდა) ჩვენთან არ დამუშავებულა.

სახელმწიფოს მიერ ასკ-ის პროდუქციის ბაზრის რეგულირება მოიცავს მიწოდების, მოთხოვნისა და საბაზრო ფასების მხარდაჭერის ღონისძიებებს. სპეციალისტების აზრით, აგრარული ბაზრის რეგულირების ეკონომიკურ მეთოდთაგან უმთავრესია სამი: საბაჟო, რაოდენობრივი და ფასებით რეგულირება. რაოდენობრივი რეგულირების დროს სახელმწიფო ბაზარზე ყიდულობს ნამეტ პროდუქციას და ყიდის, როდესაც მათი ნაკლებობა იგრძნობა, ხოლო ფასების რეგულირება გულისხმობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შესასყიდ ფასებზე ზემოქმედების და საწარმოო რესურსების შესყიდვის დოზირებას. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველოში არსებული სიდუხჭირის პირობებში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული აგრარული ბაზრის რეგულირება, რადგან დანარჩენი ორი სახის ღონისძიების გასატარებლად საკმარისი თანხები ქვეყანას ჯერჯერობით არ გააჩნია.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. აბესაძე რ. სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკა ჯერჯერობით არ გვაქვს, გაზ. „ბანკები და ფინანსები", 13 აგვისტო, 2003.
2. კოღუაშვილი პ., კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგიერთი მიმართულების შესახებ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, 2010.
3. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება", თბილისი, 2003.
4. ქავთარაძე თ. მცირე ბიზნესი: იმედები და რეალობა, გამომცემლობა „ლეგა", თბილისი, 2006.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა, სტატისტიკური კრებული 2008, თბილისი, 2009.

***Tengiz Kavtaradze***
*Academical doctor of Economics*
***Jemal Gugushvili***
*Corresponding member of the Academy*
*of agricultural sciences, professor*

**BASIC PRINCIPLES AND MAIN TRENDS OF FOODSTUFF SECURITY OF THE COUNTRY**

**Summary**

Foodstuff security of the country is one of the main issues of national security. Currently the country is in a situation when the links between rural producers and urban consumers are very weak. In spite of the fact that recently the supply of the country population with main agricultural products has become better the share of the consumption of imported goods by rural population is still very high. Such correlation results in the threat for economic and social stability of the country. For the security of country foodstuff it is necessary to support agricultural production to make it competitive and profitable; the last should be again reinvested in production.

This process aught to be associated with possibilities of state support in such spheres as: the implementation of the results of scientific researches, availability of credit. It is also necessary to determine the long-term strategy of state investments in rural infrastructure. This strategy should also stipulate the necessity of further privatization of the above mentioned infrastructure.

## აგრარული წარმოება

*თინა ჩხეიძე*
*სმმდ, პროფესორი*

# ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, მისი შეხედულებები ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, დღესაც მეტად აქტუალური და საყურადღებოა.

ილია ჭავჭავაძე ერის სიძლიერის, მისი აღორძინების ძირითად პირობად მიიჩნევდა ქვეყნის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნას, ვინაიდან „თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოკიდებულებისა – მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიკური ძალ-ღონიერებაა ერის“[3].

ეკონომიკის აღორძინების საქმეში დიდმა მოღვაწემ გამოკვეთა სოფლის მეურნეობის უპირატესი როლი – „სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის... თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოობისა, სიმდიდრის მაგაზე არის დამყარებული[4].

მართლაც, დღესაც ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და აღმავლობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს სწორედ აგრარული სექტორის განვითარება წარმოადგენს. ეს სექტორი ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებასაც უწყობს ხელს.

1882 წელს „შინაურ მიმოხილვაში“ ილია წერდა "ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე – მიწა და გუთანია. რომელ ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმდენად შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამომავლოდაც“[5]. ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ გლეხი მიწის პატრონი გამხდარიყო.

„ჩვენი ქვეყანა – წერდა ილია – მიწათმოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს სასოფლო მეურნეობაა. ე.ი. იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის მოქმედებასთან. ეს არის ერთად-ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენი სიმდიდრისა“.[6] „სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკველად და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლსა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერთად შეჰქმნის, საქმე მიწაა და გუთანი“[7].

ილია ჭავჭავაძემ ნათლად აჩვენა, რომ მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნის გარეშე შეუძლებელი იყო ქართველი ერის აღორძინებაზე ზრუნვა. იგი ხაზს უსვამდა, რომ აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი სოფლის მეურნეობაა. ის მომხრე იყო სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაციის, ურჩევდა სოფლის მეურნეს, მოეყვანა ისეთი სასოფლო-სამეურნეო მცენარეები, რომელიც სხვა ქვეყნებში, კლიმატისა თუ შეუფერებელი ნიადაგის გა-

---

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 36.
[4] იქვე, გვ. 257-258.
[5] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955, გვ. 173–174.
[6] იქვე, გვ. 237.
[7] იქვე, გვ. 173 – 174.

მო, ვერ ხარობს (სავაჭროდ გაეტანათ ყურძენი, ღვინო, თაფლი, აბრეშუმი და არა, მაგალითად, პური, რომელიც რუსეთში ისედაც ბევრია). მიწათმოქმედების განვითარების ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბებისას მთავარი ყურადღება მიექციათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებისათვის, რომლითაც შეგვეძლებოდა „საქვეყნო ვაჭრობაში" თავის გამოჩენა და ეკონომიკური სარგებლის მიღება. ამგვარი დოვლათის მომცემი სასოფლო-სამეურნეო დარგების შექმნა-განვითარებისათვის, ილიას აზრით, საქართველოს „ადგილი და ჰავა" დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა[8].

„მიწა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისთვის, როგორიც, მაგალითებრ პურია, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს, თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია....

სულ სხვა იქნებოდა, რომ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც რუსეთის ჰავისა და მიწის მიზნით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნიდან შემოაქვთ და რუსეთიდამ გვაზიდნა; ამ შემთხვევაში გამორჩენა დიდი იქნებოდა ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იაფად დაგვიჯდებოდა და მერე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ის გარჯა, ის ჰავა და მიწა, რასაც ეხლა იაფად სასყიდ ჭირნახულს ვახმარებთ, რომ უფრო ძვირფასს რასმე მოვახმაროთ, ორგზის მოგებაში ვიქნებით"[9], როგორც ჩანს ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში ჰქონდა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია.

1998 წლის მდგომარეობით, საქართველოს მიწის ფონდის (6949,4 ათ. ჰა) 43,2% სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია, სახნავი მიწების რესურსი მეტად მცირეა. საშუალოდ იგი უდრის 11% (ცხრილი 1).

ცნობილია, რომ სასურსათო უსაფრთხოების და, აქედან გამომდინარე, სიღარიბის დაძლევის ძირითადი რესურსი სახნავი მიწაა, რომლის ფართობი საქართველოში ყოველწლიურად მცირდება (მიწის დეგრადაციის, ეროზიის, დამლაშების, დაჭაობების, ურბანიზაციის და სხვ. გამო), რაც უშუალოდ ახდენს გავლენას სასურსათო უზრუნველყოფაზე. ის ფართობები, რომლებიც ჩართულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში, ოპტიმალურად არ არის გამოყენებული. მათი მოსავლიანობა წლითიწლობით სულ იკლებს სხვადასხვა მიზეზის გამო (ცხრილი 2, 3).

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესია იმ პოტენციური შესაძლებლობების გამოყენება, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სრული ათვისება (დეგრადირებული ნიადაგების რეკულტივაცია და ფართობის ერთეულზე მოსავლიანობის გაზრდა).

იმავე დასკვნამდე მიდიან თანამედროვე ქვეყნები, რომლებიც უდიდეს ყურადღებას უთმობენ სასურსათო უსაფრთხოების საკითხს (რომელსაც გვთავაზობდა თავის დროზე დიდი მწერალი). მათ მიაჩნიათ, რომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა ყველა ქვეყნისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია და, მომავალში, ვინც სურსათის მფლობელი იქნება, იგი პოლიტიკაშიც იბატონებს.

---

[8] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, 1956., გვ. 213.

[9] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, 1956, გვ. 64-65.

ცხრილი 1

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დინამიკა 1950 –2006 წწ.**

| წელი | ათ. ჰა | სასოფლო-სამეურნეო მიწები (საკარმიდამო-ების ჩათვლით) | მათ შორის | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დამუშავე-ბული | აქედან | | სათიბ-საძოვარი |
| | | | | სახნავი | მრავალ-წლიანი | |
| 1950 | ათ.ჰა | 3447,2 | 1867,5 | 1055,3 | 234,0 | 1579,7 |
| | % | 100,0 | 54,2 | 30,6 | 6,8 | 45,8 |
| 1960 | ათ.ჰა | 2881,0 | 1419,5 | 925,0 | 235,2 | 1461,5 |
| | % | 100,0 | 49,3 | 32,1 | 8,2 | 50,7 |
| 1970 | ათ.ჰა | 2898,1 | 1162,6 | 685,3 | 235,0 | 1735,5 |
| | % | 100,0 | 40,1 | 23,6 | 8,1 | 59,9 |
| 1980 | ათ.ჰა | 2996,3 | 1156,5 | 668,1 | 288,1 | 1839,9 |
| | % | 100,0 | 38,6 | 22,3 | 9,6 | 61,4 |
| 1985 | ათ.ჰა | 2978,9 | 1155,6 | 686,8 | 272,3 | 1823,3 |
| | % | 100,0 | 38,8 | 23,0 | 9,1 | 61,2 |
| 1990 | ათ.ჰა | 2984,6 | 933,8 | 694,5 | 239,3 | 1842,4 |
| | % | 100,0 | 33,5 | 24,9 | 8,6 | 66,5 |
| 1998 | ათ.ჰა | 2991,1 | 1062,5 | 785,0 | 277,5 | 1928,6 |
| | % | 100,0 | 35,5 | 26,2 | 9,3 | 64,5 |
| 2006 | ათ.ჰა | 3022,7 | 1064,2 | 795,3 | 267,9 | 1797,2 |
| | % | 100,0 | 35,2 | 26,3 | 8,9 | 59,5 |

წყარო. საქართველოს სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი, 2008.

**სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენება (ათასი ჰა)**

ცხრილი 2

| | სულ სას. სამ. სავარგული | | | მათ შორის | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დაუმუშავე-ბელი | | | დამუშავებუ-ლი | | | საძოვარი | | | მრავალწლი-ანი ნარგავები | | |
| წლები | 2006 | 2007 | 2008 | 2006 | 2007 | 2008 | 2006 | 2007 | 2008 | 2006 | 2007 | 2008 | 2006 | 2007 | 2008 |
| სულ | 865 | 854 | 838 | 132 | 166 | 130 | 330 | 297 | 329 | 287 | 247 | 264 | 116 | 114 | 115 |

წყარო. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2008.

ცხრილი 3

**სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (საკუთრების ყველა ფორმის მეურნეობებში ათასი ჰა)**

| წლები | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნათესი ფართობი სულ | 577.0 | 561.7 | 534.0 | 539.6 | 330.2 | 297.2 | 329.8 |
| ხორბალი | 139.1 | 117.3 | 104.8 | 97.4 | 58.7 | 45.4 | 48.6 |
| მემცენარეობის პროდუქტების წარმოება (ათასი ტონა) | | | | | | | |
| ხორბალი | 199.7 | 225.4 | 185.8 | 190.1 | 69.7 | 74.9 | 80.3 |
| სიმინდი | 400.1 | 461.9 | 410.6 | 421.3 | 217.4 | 295.8 | 328.2 |
| სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა (ცენტნერი 1 ჰექტრიდან) | | | | | | | |
| ხორბალი | 17.0 | 19.3 | 18.2 | 19.9 | 12.4 | 16.7 | 16.8 |
| სიმინდი | 20.5 | 24.2 | 22.0 | 21.8 | 18.4 | 24.1 | 22.9 |
| ოჯახური მეურნეობების წილი მემცენარეობის პროდუქციის წარმოებებში (%) | | | | | | | |
| ხორბალი | 91 | 88 | 89 | 96 | 81 | 86 | 86 |
| სიმინდი | 96 | 97 | 97 | 99 | 99 | 99 | 99 |

წყარო. სტატისტიკური წელიწდეული 2009.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ჩხეიძე თ. „მიწის რესურსების ოპტიმალურად გამოყენება, როგორც სიღარიბის დაძლევის საწინდარი", პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. კონფერენციის მასალები. თბ., 2010.
2. ღლონტი ი. ი. ჭავჭავაძე და სოფლის მეურნეობა.



***Tina Chkheidze***
*Doctor of Economic Sciences, professor*


## ILIA CHAVCHAVADZE ON AGRICULTURE


Summary

Ilia Chavcavadze considered the reconstruction of agriculture to be non-alternative measure of poverty overcoming. He thought that the solution of food problem is equal to political and economic independence for each country.

## რეგიონული ეკონომიკა

*ლამარა მინდორაშვილი*
*სტუ ასოცირებული პროფესორი*

# საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია

საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის დინამიური ზრდისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წარმოების ტრადიციული ფაქტორების კვალდაკვალ, ინოვაციებსა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული ეკონომიკური ინიციატივების წახალისება და ამისათვის ქვეყნის შედარებითი უპირატესობების ოპტიმალური გამოყენება. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე სუბსიდიების პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების სათანადო პოლიტიკას, შესაბამისად გაწერილი სტრატეგიის თანმიმდევრულ და კოორდინირებულ განხორციელებას.

**აღნიშნული ამოცანების განხორციელების მიზნით საქართველოში 2008 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა „რეგიონული საინოვაციო სისტემა" და მისი შემადგენელი კომპონენტები.**

**რეგიონული საინოვაციო სისტემა წარმოადგენს** რეგიონის შედარებითი უპირატესობების ნიშნით სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების შეჯგუფების და თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება-განვითარება და ამის საფუძველზე ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საქართველოს მთავრობას.

**დღემდე საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის მოქმედი სუბიექტების მართვისა და ურთიერთკავშირის ანალიზი ასეთ სურათს იძლევა:**

პირველადი შეფასებისთანავე თვალსაჩინო ხდება, რომ არ არსებობს მაკოორდინირებელი უწყება, რომელიც უზრუნველყოფდა ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისთვის აუცილებელ კოორდინირებას.

**საქართველოში რეგიონების განვითარებას ხელს უშლის შემდეგი ფაქტორები:**

1. **რეგიონული საინოვაციო სისტემის, როგორც რეგიონული განვითარების ახალი მოდელის გაუთვალისწინებლობა.** რეგიონული საინოვაციო სისტემების თემა საქართველოში მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა აქტუალური; ჯერჯერობით ის მხოლოდ ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე განიხილება.

2. **საინოვაციო პოლიტიკის განმახორციელებელი მაკოორდინირებელი უწყების და შესაბამისი სისტემური ხედვის არარსებობა.** დღეისთვის არ არსებობს სპეციალური უწყება, რომელიც უზრუნველყოფდა ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარებისთვის აუცილებელ კოორდინირებას.

3. **რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ბენჩმარკინგის და სტატისტიკის არარსებობა.**

4. **ჭარბი ვერტიკალური მმართველობის შემზღუდავი ეფექტები.** რეგიონული განვითარების დღეს არსებული მოდელი სათანადოდ არ ითვალისწინებს ქვემოდან ზემოთ განვითარების (სოციალური კაპიტალი, ადამიანური კაპიტალი, ინოვაცია, ქსელები, ინფრასტრუქტურა, ფინანსები) შესაძლებლობას.

5. **კლასტერული განვითარების ინიციატივების არარსებობა.** ამ ეტაპზე, ძირითადად, მხოლოდ ცალკეული კერძო ორგანიზაციების დონეზე განიხილება საქართველოში კლასტერული განვითარების შესაძლებლობები, როგორც საინოვაციო სისტემის წარმატებით დანერგვისა და რეგიონების კონკურენტული უპირატესობების გამოყენების ეფექტური ინსტრუმენტი.

6. **რეგიონებში საინოვაციო სისტემების დანერგვის სუსტი წინაპირობები.** რეგიონებში სამეწარმეო სუბიექტების, კვლევითი ინსტიტუტების, ბაზრების, თვითმმართველობის ორგანოების, ტრენინგის განმახორციელებელი დაწესებულებების, სოციალური პარტნიორების განვითარების, ისევე, როგორც მათი ურთიერთდაკავშირებულობის დაბალი დონე.

7. **კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის სახელმწიფოს მიერ მინიმალური მხარდაჭერა.** სახელმწიფოს მიერ კვლევა-განვითარების დაფინანსება ვერ აღწევს მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-საც კი.

8. **სამეცნიერო პოტენციალის კლების დინამიკა.** 2003 წლიდან სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა შემცირდა 17%-ით, ხოლო სამეცნიერო კადრების რაოდენობა – 43%-ით, მთლიანობაში, შესრულებული სამეცნიერო კვლევითი პროექტების რაოდენობა შემცირდა 14,5%-ით, რაც ხელს არ უწყობს ქვეყანაში ცოდნის გენერირების შესაძლებლობის ზრდას.

9. **ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი საჯარო პოლიტიკის (სამართლებრივი ნორმების) არათანმიმდევრულობა და სუსტი სტიმულები.** ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივია. მაგალითად, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის ცვლილებებში (2005) ასახვას პოვებს სახელმწიფო მხარდაჭერა სამეცნიერო და საინოვაციო საქმიანობისთვის და სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უნივერსიტეტებში, მათი სამეცნიერო ფონდის წესები" (2004), არ იძლევა საშუალებას, აკრედიტებულმა კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღონ მათ მიერ გამოცხადებულ რაიმე სახის პროექტებში, კონკურსებსა და საგრანტო დაფინანსებაში.

10. **უცხოური პირდაპირი ინვესტიციებით სტიმულირებული ტექნოლოგიების ტრანსფერის სუსტი პრაქტიკა.** საქართველოში, ისევე, როგორც უმეტეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ლიცენზირების გზით ტექნოლოგიების ტრანსფერი ამ ეტაპზე საკმაოდ დაბალი პოტენციალისაა.

11. **ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციების უმნიშვნელო აქტიურობა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.** ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ნულოვანი როლი/აქტიურობა საინვესტიციო პროექტების შემუშავებასა და ადგილებზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში შეუძლებელს ხდის ეკონომიკური პროცესების სათანადო სტიმულირებას რეგიონნებში; ისინი არ ფლობენ აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად როგორც სათანადო რესურსებს, ისე კარგად ფორმულირებულ და არაორაზროვან სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება.

12. **სახელმწიფო რწმუნებულის** – გუბერნატორის სუსტი როლი და ორაზროვანი სამართლებრივი მანდატი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენაში. მოქმედი საკანონმდებლო ბაზა ბუნდოვანს

ხდის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი პრიორიტეტებისა და მიმართულებების განმსაზღვრელი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 271-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გუბერნატორების ერთ-ერთ უფლებამოსილებას „მთავრობის დავალებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება“ წარმოადგენს.

13. **საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება და სუსტი იმპლემენტაცია.** მიუხედავად ცალკეული კანონების და კანონქვემდებარე აქტების არსებობისა, ქართული საკანონმდებლო სივრცე მოკლებულია ისეთი ერთიანი საინოვაციო პოლიტიკის წარმოების საკანონმდებლო ინსტრუმენტების არსებობას, რომელიც დააკმაყოფილებდა მსოფლიოში დღეს შექმნილ გლობალური კონკურენტუნარიანობის მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

14. **იმპორტზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი (მზარდი სავაჭრო დეფიციტი).** საქართველოს ეკონომიკა უმეტესწილად დამოკიდებულია იმპორტზე, რაც ასახავს ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას და შეზღუდულ ადგილობრივ წარმოებას. ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი წარმოება არ არის სამართლებრივად მხარდაჭერილი და წახალისებული.

15. **საფინანსო ინსტიტუტების სუსტი როლი მცირე ბიზნესის და საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერაში**. ინოვაციური განვითარების ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობად რჩება მოთხოვნის დაფინანსების არარსებობა. ამ ეტაპზე არც ქართული საბანკო სექტორია მზად იმისათვის, რომ ქვეყანაში ინოვაციებზე ორიენტირებული მეწარმეობის და მცირე ბიზნესის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს;

16. **ცოდნის გენერირების სუსტი შესაძლებლობები**. ინტასის პროექტის ფარგლებში ჩატარებული კომპლექსური კვლევა საფუძველს იძლევა საბოლოო დასკვნისთვის, რომ ამ ეტაპზე საქართველოს თუმცა გააჩნია ცოდნის ათვისების კარგი პოტენციალი, მაგრამ აქვს ცოდნის გენერირების სუსტი შესაძლებლობანი.

17. **საქართველო მსოფლიო ბანკის ცოდნის პარამეტრების გაზომვის ინდექსის მიხედვით** – ეკონომიკური სტიმულირებით და ინსტიტუციური რეჟიმით, ინოვაციურობით და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებით, ჩამორჩება არათუ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, არამედ თავის უახლოეს მეზობელ ქვეყნებსაც კი.

შემუშავდა საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია 2011-2017 წლებისათვის, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რეგიონული საინოვაციო სისტემის თანმიმდევრული განვითარების, რეგიონების შედარებითი უპირატესობების ეფექტური გამოყენებისა და სისტემური თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყნის რეგიონების კონკურენტუნარიანობის და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ყველა მონაწილე სუბიექტის აქტიური ჩართულობა და ინოვაციებზე ორინეტირებული სამეწარმეო ბიზნესის განვითარება.

შესაბამისად, საქართველოში რეგიონული საინოვაციო სტრატეგიის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების შექმნაზე ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკური განვითარების მოდელის დანერგვა.

**საქართველოში რეგიონული საინოვაციო სისტემის განვითარების მიზნით აუცილებელია:**

- საინოვაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ახალი ტექნოლოგიების, კვლევებისა და განვითარების, თანამედროვე სამრეწველო კლასტერების განვითარებით;
- ინოვაციის ყველა შემადგენელი კომპონენტის წახალისება;
- უმაღლესი განათლების, კვლევითი ცენტრების, საჯარო სექტორის ინსტიტუტებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს შორის საშუამავლო და თანამშრომლობითი ინსტრუმენტების ხელშეწყობა;
- კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება და ხელშეწყობა;
- რეგიონული ადმინისტრაციების ეფექტურობის გაზრდა საინოვაციო პროექტების შემუშავებისა და ინვესტიციების (მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) მოზიდვის სფეროში;
- რეგიონული ცენტრებისა და ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეფექტური უნარ-ჩვევების შეძენას და კავშირების დამყარებას სხვადასხვა რეგიონულ სუბიექტებს, ადგილობრივ მიმწოდებლებსა და შემოსულ, მათ შორის, პირდაპირ უცხოურ კაპიტალს შორის.

**საქართველოს რეგიონებში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით აუცილებელია** გრძელვადიან პერსპექტივებზე ორინეტირებული კონკურენტუნარიანობის მასტიმულირებელი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის ზრდას და სოციალური კეთილდღეობის როლს ასრულებს როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

**ჩვენი აზრით, საქართველოში რეგიონული საინვაციო პოლიტიკის განვითარების სტრატეგიას უნდა წარმოადგენდეს:**

1. რეგიონული მმართველობის ინსტიტუციური განვითარების სრულყოფა;
2. თითოეულ რეგიონში ინოვაციებზე ორინეტირებული საჯარო ინიციატივებისა და პოლიტიკის, აგრეთვე, საინოვაციო სისტემის სტრატეგიული დაგეგმვა;
3. რეგიონული საინოვაციო ცენტრების და რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შექმნა;
4. სტიმულებზე დაფუძნებული ინოვაციური პროგრამებისა და ადგილობრივი სამეწარმეო გარემოს ხელშემწყობი პროექტების – ინიციატივების შემუშავება;
5. რეგიონული და ეროვნული კვლევა-განვითარების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება; სტაბილური დაფინანსების სისტემის შექმნა;
6. ბიზნესსექტორსა და უნივერსიტეტებს შორის კომუნიკაციისა და ქსელური თანამშრომლობის განვითარება;
7. რეგიონებში ცოდნის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;
8. რეგიონებში პირდაპირი (მათ შორის, უცხოური) ინვესტიციების მოზიდვა და ამ მიმართულებით რეგიონული და ადგილობრივი ადმინისტრაციების როლის გაზრდა;
9. ადგილობრივ საწარმოთა და შემოსულ ინვესტორთა შორის კავშირების წახალისება;
10. საფინანსო სექტორის წახალისება ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდასაჭერად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

2006 წლის 24 მაისს გაუქმდა კანონი „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ". ამჟამად, მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტება მოცემულია საქართველოს კანონში „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ". უფრო მიზანშეწონილი იქნება ამ განმარტებების ასახვა საგადასახადო კოდექსში ან ცალკე კანონში მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ. ამავე კანონის ახალი რედაქციით მომზადებისას, აუცილებელია ახალი სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში იმის გათვალისწინება, თუ რა ცვლილებები უნდა მოხდეს ესს-ის და რსს-ის დამკვიდრებისას ქვეყნის მასშტაბით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2002.
2. ზარანდია ჯ. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის რეგიონალური პრობლემები, თბ., 2004.
3. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. ინოვაციების მენეჯმენტი, თბ., 2008.
4. სიჭინავა ა. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა, (ლექციების კურსი), თბ., 2010.



***Lamara Mindorashvili***

*Associated professor of Georgian Technical University*


## THE STATE STRATEGY OF REGIONAL DEVELOPMENT OF GEORGIA

### Summary


World globalization has put Georgia before a concrete challenge, because in the conditions of globalization, increasing technological progress and competitiveness becomes more clear that so called "open areas" not including in themselves innovations and technological progress are transforming into independent areas without function politically and economically. To provide economic development and security of Georgia, it is necessary to elaborate regional economic strategy oriented on new technologies; this will enable the country to use its comparative advantages, to develop priority sectors and increase its competitiveness.

To realize the above mentioned objectives in 2008 was created "regional innovative system" in Georgia still functioning and contributing significantly the formation and functioning of regional innovative policy.

## აუდიტი

***Владимир Цверава***
*кандидат технических наук*
*ассоциированный профессор Тбилисского*
*юридического-экономического института им. Ф. Гогичаишвили,*
***Инга Абуладзе***
*кандидат технических наук*
*ассоциированный профессор Грузинского технического университета,*
***Георгий Брегвадзе***
*Академический доктор экономики*
*ассоциированный профессор Тбилисского*
*юридического-экономического института им. Ф. Гогичаишвили,*
***Михаил Бегиашвили***
*докторант Грузинского технического университета*

# К ВОПРОСУ МЕТОДИКИ ОСУЩЕСТВЛЕНИЯ АУДИТОРСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ДЕБИТОРСКОЙ И КРЕДИТОРСКОЙ ЗАДОЛЖЕННОСТИ НА ПРЕДПРИЯТИЯХ

Как известно, особой профессиональной подготовки требует проведение аудита расчётов дебиторской и кредиторской задолженности [1].

Целью аудиторской проверки является установление соответствия применяемой на предприятиях (на основе приказа по учётной политике) методики учёта и налогооблажения операций по расчётам и обязательствам. В месте с тем, аудиту подвергаются расчёты с банками, бюджетом, поставщиками и покупателями, подотчётными лицами, персоналом, другими дебиторами и кредиторами. При этом выявляются ошибки, нарушения и степень их вляния на достоверность бухгалтерской отчётности.

К тому же известно, что перед аудитором стоят следующего типа задачи, каковыми на сегодняшний день являются:

- проверка правильности документального оформления операций по данным расчётам;
- оценка состояния как синтетического и аналитического учёта расчётов, так и счетов отраженных в бухгалтерском балансе;
- оценка полноты и правильности отражения данных расчётов с дебиторами и кредиторами в учётных регистрах и отчётности;
- проверка соблюдения законодательства по операциям дебиторской и кредиторской задолженности [2].

В ходе проверки проводимых объектами аудита операций дебиторской и кредиторской задолженности являются (см. табл.1):

Источниками информаций в этом плане могут служить:

- унифицированные формы учётной первичной документаций;
- учётные регистры;
- учётная политика предприятия;
- ведемости аналитического учёта;
- формы отчётности.

***Объекты аудита дебиторской и кредиторской задолженности на предприятиях***

табл.1

| *Показатели* | *Формы отчетности* | *Номера регистров* | *Основания заполнения* |
|---|---|---|---|
| Сч. 60 Расчёты с поставщиками и подрядчиками | Баланс | Главная книга, ж/о № | Договоры, акты, платеж-ные документы, выпис-ки банка и др. |
| Сч. 62 Расчёты с покупателями и заказчиками | Баланс | Главная книга, анали-тические данные к ж/о №, ведомость, справки бухгалтерии | Счета-фактуры, акты, договоры, платежные документы |
| Сч. 71 Расчёты с подотчетными лицами | Баланс | Главная книга, ж/о № | Отчёты кассира, аван-совые отчёты, выписки банка, приказы и др. |
| Сч. 76 Расчёты с разными дебито-рами и креди-торами и др. | Баланс | Главная книга, ж/о №, ведомости (карточки) по аналитическим счетам, ре-естры, справки-расчё-ты | Договоры, акты, платеж-ные документы по кассе и банку, приказы и т.п. |

Аудитор, как правило, должен выявить просроченную и нереальную задолженность с истекшим сроком исковой давности, наличие и характер нарушений, причины возникновения дебиторской и кредиторской задолженности в целом. Если по счетам расчётов задолженность значительна и за отчётный период не наблюдается движения, то это свидетельствует о нарушении на предприятиях финансовой и расчётной дисциплины. При этом, анализу подвергается обоснованность претензий и проверяется правильность размера ущерба, причинённого нарушениями хозяйственных договоров. В полне естественно, то что аудитор должен дать оценку эффективности проводимых группой экспертов мероприятий по погошению задолженности [3].

Известно, что дебиторская задолженность является долгом контрагента, который возникает вследствие проведения конкретной хозяйственной операций, связанной с движенем материальных (и может быть нематериальных) ценностей, реализацией продукций, неплатежей и задолженности физических и юридических лиц.

Предполагается, что часть счетов оплачивается в срок по условиям договоров, другая же – погашается с некоторой просрочкой, а оставшаяся часть задолженности образует безнадёжную дебиторскую задолженность.

Дебиторскую задолженность следует оформить при проверке (см. табл. 2):

***Дебиторская задолженность предприятия*** табл. 2

| *Шифр счета* | *Дебиторы* | *Сумма* | *Дата возникновения задолженности* | *Характер задолженности* | *Принятые меры* |
|---|---|---|---|---|---|
| 60 | | | | | |
| 62 | | | | | |
| 63 | | | | | |
| 68 | | | | | |
| 71 | | | | | |
| 76 и др. | | | | | |

При этом необходимо выяснить правильно ли отражены по статьям бухгалтерского баланса соответствующие остатки задолженности. Для этого по данным регистров аналитического учёта к счетам, предназначенным для отражения расчётов должны сличать остатки по каждому виду расчётов на начало проверяемого периода с остатками по соответствующим статьям бухгалтерского баланса, а затем проверить каждый вид расчётов. При этом обязяны установить:

- причины и виновников образования задолженности, давность её возникновения и реальность получения;
- не пропущены ли сроки исковой давности;
- какие мери принимались/или принимаются в настоящее время/ для погашения задолженности;
- проводятся/или проводились ли/ встречные проверки;
- составляются/или составлялись/ акты выверки взаиморасчётов;
- наличие графиков погашения задолженности и писем, в которых дебиторы признают свою задолженность;
- ведётся/или велась ли вообще/ претензионно-исковая работа;
- как проводится/или проводился/ контроль за исполнением договорных обязательств [4, 5].

К тому же проверке подлежит невостребованная кредиторская задолженность, в чём мы можем убедиться на примере нижеприведённой таблицы:

***Кредиторская задолженность предприятия***

табл. 3

| ***Шифр счета*** | ***Кредиторы*** | ***Сумма*** | ***Дата возникновения задолженности*** | ***Характер задолженности*** | ***Принятые меры*** |
|---|---|---|---|---|---|
| 60 | | | | | |
| 62 | | | | | |
| 63 | | | | | |
| 68 | | | | | |
| 71 | | | | | |
| 76 и др. | | | | | |

В обязательном порядке следует установить, не перекрывается ли в бухгалтерских балансах дебиторская задолженность кредиторской путём отражения свёрнутого сальдо по расчётным счетам.

При анализе прочей дебиторской задолженности важно проверить:

- наличие задолженности работников предприятия за пользование основными /оборотными/ средствами и инвентарём;
- без предварительной отлаты отпущенные материальные (к тому же малостоющие) ценности и т.д.

В ходе проведения инвентаризации расчётов необходимо установить правильность и своевременность списания дебиторской и кредиторской задолженности, так как этот процесс представляет собой наибольшую сложность и может *существенно занизить налогооблагаемую базу по налогу на прибыль.*

Согласно закону об аудиторской деятельности “от 7 февраля 1995 года № 623-11п (с последующими внесёнными в него изменениями от 27 июня 1997 года № 810-

11п) дебиторская и кредиторская задолженности по истечении срока исковой давности списываются на финансовые результаты предприятия в соответствии с общим сроком исковой давности, установленным ГК Грузий в три года.

Нужно отметить, что несвоевременное списание кредиторской задолженности может быть расценено нелоговой службой как неучёт или сокрытие внереализационных доходов предприятия.

Важно подчеркнуть тот факт, что на предприятиях часто не списывают неистребованную дебиторскую задолженность, по которой истёк установленный предельный срок исполнения обязательств по расчётам, по истечении срока в несколько месяцев, что естественно свидетельствует о занижении внереализационного дохода предприятия.

Для целей окончательного списания дебиторской задолженности под т.н. "реальностью" или "нереальностью" должна приниматься оценочная котегория, определяемая лично руководителем предприятия в кождом конкретном случае. Списание должно закрепляться документами, подтверждающими нереальность взыскания задолженности. Выявленные при этом нарушения и их влияние на достоверность бухгалтерской отчётности, налогообложения и соблюдение законодательства должно оформляться согласно нижеприведённой таблицы:

***Выявленные в ходе аудиторской проверки нарушения***

табл.4

| *Шифр счета* | *Основание* | *Характер нарушений* | *Влияние нарушений* |
|---|---|---|---|
| | | | |

В полне естественно, что для безупречного и безатлагательного выполнения вышесказанного нужен правильный подход к проведению аудита. Предлагаемая авторами методика отражает точный и правильный подход к проведению аудиторской проверки в целом на предприятиях.

Подводя итоги нашего рассуждения, по каждому нарушению должна проводиться ссылка на нормативный документ согласно действующего законодательства и нормативно-правовых актов, а полученные данные должны использоваться для аудиторского заключения.

## Использованная литература


1. Р. Адамс. Основы аудита – М., Юнита, 1995.
2.Чечёрткин А. С. и др. Организация учёта и аудита. Минск. Изд-во ИВЦ Минфина, 2009.
3.Аудит. Под редакцией д-ра экон. наук, профессора В. И. Подольского. Изд-во Wolters Kluwer 2010.
4. А. Д. шремет, В. П. Суиц. Аудит. Изд-во Инфра-М., 2009.
5.М. Мельник. Практический Аудит. Изд-во Инфра-М., 2008.

***Vladimer Tsverava***
*Candidate of technical sciences, associated professor*
*of F. Gogichaishvili Juridical-economic Institute of Tbilisi***,**
***Inga Abuladze***
*Candidate of technical sciences,*
*Assiciated professor of Georgian Technical University***,**
***Giorgi Bregvadze***
*Academical doctor of Economics*
***Micheil Begiashvili***
*Doctorant of Georgian Technical University*

## TO THE QUESTION OF METHODOLOGY OF ACCOMPLISHMENT OF EVIDENTIAL MATTER OF THE ACCOUNT RECEIVABLE IN THE ENTERPRISES

**Summary**

In the article there were considered the matters of audit of the debitor and creditor indeptedness. Evaluated with auditor holding checkup, an effective fulfillment which will be promote to improvement holdig measures maintain accounting records and financial accountability in the enterprises concerning account with state budget.

## საბაზრო ეკონომიკა

*ანზორ კურატაშვილი*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

# სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და მისი თავისებურებანი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზების ძიება.

ზემოაღნიშნული პრობლემების ეფექტიანი კვლევის ამოცანა განაპირობებს, უპირველეს ყოვლისა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრის აუცილებლობას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი გარკვეულწილად გულისხმობს – შეიცავს თავის თავში – საბაზრო ეკონომიკის არსსაც, ამასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ხასიათდება თვისებრივად ახალი არსით, რაც განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციით.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად ყველგან საბაზრო ეკონომიკას წარმოადგენს, რადგან რეალურად ეკონომიკა არ არსებობს საქონელწარმოების გარეშე, ხოლო საქონლური წარმოება წარმოუდგენელია ბაზრის გარეშე.

ანალოგიური აზრი გამოთქმულია ეკონომიკურ ენციკლოპედიაში, სადაც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა – ისტორიული კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისათვის, სადაც არის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. აღმოცენდა რა მრავალი საუკუნის წინათ, მან მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, გახდა ცივილიზებული და სოციალურად ორიენტირებული" [1, გვ. 976].

გარდა ამისა, ანალოგიური აზრი დაფიქსირებულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მაკმილანის მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ ინგლისურ ლექსიკონში, რომელშიც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა ჩვეულებრივ გულისხმობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების სისტემას, ე. ი. ის არის „კაპიტალისტური" ეკონომიკა ან „კერძო მეწარმეობის" ეკონომიკა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება გარკვეულწილად ფუნქციონირებდეს საზოგადოებრივი საკუთრების დროსაც" [2, გვ. 311].

ამასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა" იგულისხმება, ერთი მხრივ, ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება და, მეორე მხრივ, ეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრული თავისუფლების არსებობა, საკუთრების ფორმათა პლურალიზმი, სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება, რომლებსაც განვითარების თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის მოგების მიღების მაქსიმიზაციაზე გამიზნული ეკონომიკა მასში საბაზრო მექანიზმების გადამწყვეტი მარეგულირებელი როლით.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკაში ფაქტობრივად იგულისხმება ბაზრის – საბაზრო ურთიერთობების – საყოველ-

თაო ხასიათი, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, ე.ი. ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა" თანამედროვე გაგებით ფაქტობრივად იგულისხმება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსი, მაშინ, როდესაც ბაზარი – საბაზრო ურთიერთობები – და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ კაპიტალიზმისთვის არ არის დამახასიათებელი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აზრი იმის შესახებ, რომ „ეს კონცეფციები (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციები – ა. კ.) საკმაოდ ვიწროდ, გადასვლის რეალური ამოცანების შეუსაბამოდ, ორიენტაციას აძლევს რეფორმირების პრაქტიკას მოძრაობაზე სწორედ (და მხოლოდ) კაპიტალიზმისაკენ (რადგან საზოგადოება „სოციალიზმიდან" მიდის)" [3, გვ. 37].

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ცნობილი უცხოური ენციკლოპედიური ტიპის ეკონომიკურ ლექსიკონში კერძო მეწარმეობის ეკონომიკა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და კაპიტალიზმი ფაქტობრივად განხილულია როგორც ერთი და იგივე ცნებები [4, გვ. 665], რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ კერძო მეწარმეობა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, თუმცა, ჯერ ერთი, კაპიტალიზმი მხოლოდ კერძო მეწარმეობა და საბაზრო ეკონომიკა არ არის და, მეორეც, კერძო მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის არსებობა შესაძლებელია არა მარტო კაპიტალიზმის დროს.

მაშასადამე, თუმცა საბაზრო ეკონომიკა ადრეც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე გაგებით საბაზრო ეკონომიკაში, ჩვენი აზრით, იგულისხმება (უნდა იგულისხმებოდეს) ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, ე. ი. იგულისხმება ეკონომიკა, რომელსაც ბაზარი არეგულირებს, განსხვავებით საბჭოური ტიპის ეკონომიკისაგან, როდესაც ეკონომიკის რეგულირება ხდებოდა ცენტრალიზებული გეგმითა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, ანუ იმ სისტემით, რომელსაც ლუდვიგ ერხარდმა იძულებით წარმართვადი მეურნეობა უწოდა [5, გვ. V].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკას, იმ გაგებით, რაც ამ ტერმინში თანამედროვე გაგებით რეალურად იგულისხმება, ჩვენი აზრით, უნდა ეწოდებოდეს უპირატესად ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, ის აგრეთვე მოგების მისაღებად არის მიმართული, მაგრამ, განსხვავებით სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან, საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი თავისი არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მოგებისადმი სწრაფვასთან ერთად სოციალურ ორიენტაციას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შეიცავს.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია და ამ ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია, რაც გამოიხატება ხალხის ცხოვრების მაღალ ხარისხში, წარმოადგენს იმ მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, რომლითაც ხასიათდება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსობრივი ბუნება და რომელიც უდავოდ დადებით შეფასებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან ის ორიენტირებულია იმაზე, რაც ეკონომიკის არსებობისა და ფუნქციონირების ბუნებრივ დანიშნულებას წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს), ანუ ორიენტირებულია ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ანუ მისი არსის განსაზღვრის ჩვენეული კრიტერიუმი პრინციპული მნიშვნელობის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა

ასეთი განსაზღვრა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს, თუმცა ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია თავისთავად ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტაციას გულისხმობს, რასაც ლუდვიგ ერხარდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნის სახელწოდებაც – „კეთილდღეობა ყველასათვის" [5] – ადასტურებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრა, რომელიც დააფიქსირებდა ამ ტიპის ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად თითქმის არ გვხვდება, რადგან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია აქვს. თუმცა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, მისი სოციალური ორიენტაციიდან გამომდინარე, თვისებრივად განსხვავებული არსი და აქედან გამომდინარე სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

კერძოდ, თუ საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებზე – საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებასა და მათ თანასწორუფლებიანობაზე, ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრულ თავისუფლებაზე, ბაზრის მარეგულირებელ როლზე და ა. შ., სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანზე – მოგებაზე, და, ამავე დროს, მის სოციალურ ორიენტაციაზე – ხალხის კეთილდღეობაზე.

სწორედ საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიზნისა და, ამავე დროს, მისი სოციალური ორიენტაციის ერთდროულად არსებობა წარმოადგენს, ჩვენი ღრმა რწმენით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის სპეციფიკურ და განმსაზღვრელ კრიტერიუმს – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ არსს [7].

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, ანუ სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნისა და მიზანდასახული გამოყენების გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია [8].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **Экономическая энциклопедия**/Науч.-ред. совет. изд-ва "Экономика", Ин-т экон. РАН; Гл. ред. Л. Н. Абалкин-М., ОАО "Издательство "Экономика", 1999.
2. **Словарь современной экономической теории Макмиллана.** – М., ИНФРА-М., 1997.
3. **Курс переходной экономики:** Учебник для вузов (Под ред. акад. Л. И. Абалкина – М., ЗАО "Финстатинформ", 1997.
4. **Пасс К., Лоуз Б., Девис Л.** Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб. Экономическая школа. 1998.
5. **Эрхард Л.** Благосостояние для всех. Репринт. воспроизведение. Пер. с нем./Авт. предисл. Б. Б. Багаряцкий, В. Г. Гребенников. – М., Начала - Пресс, 1991.
6. **Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р.** Экономика, Пер. с анг. со 2-го изд. – М., "Дело ЛТД", 1993.
7. **კურატაშვილი ანზორ.** სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა "პროგრესი", 2008.

8. **Курaташвили Анзор А.** Рыночная экономика и правовой фактор.BULLETIN "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 7 (57), July, 1999. New York, USA.

***Anzor Kuratashvili***
*Academical Doctor of Economics*

## SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND ITS PECULIARITIES

**Summary**

In scientific work the essence of socially focused market economy and its feature in the conditions of formation of civilized market relations are considered.

Market economy the author considers as aimed at profit and, at the same time, as mainly the market adjustable economy.

As to socially focused market economy, its defining criterion, under the well-founded statement of the author, is both aspiration to profit reception, and social orientation of this rynochno-economic system.

**ტურიზმი**

*ქეთევან ქველაძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

## აგროტურიზმისა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ტურიზმი მსოფლიოში და საქართველოშიც ერთ-ერთი სტრატეგიული დარგია, რომელსაც ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 2002 წელს იოჰანესბურგში უმაღლესი დონის II მსოფლიო სამიტზე დასახულ მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების ღონისძიებებში ტურიზმი ოფიციალურად იქნა ჩართული. მას, როგორც დარგს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის "ათასწლეულის განვითარების" მსოფლიო სამოქმედო პროგრამაში: "მდგრადი განვითარება – სიღარიბის დაძლევა".

დღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, მთავრობამ ტურიზმი ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ სექტორად აღიარა და იგი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ფარგლებში მოექცა. რაც გულისხმობს დარგის განვითარების დაგეგმვას ყველა დონეზე, რათა ტურისტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა, იგი უნდა ითვალისწინებდეს დესტინაციებისათვის (ტურისტული ცენტრებისათვის) ტურიზმის ხარჯზე ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებასა და ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას [1].

საქართველოში სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 66%-ის აზრით, საქართველოსათვის ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია ქვეყნის განვითარებისა და მეწარმეთა დასაქმების კუთხით [2].

ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულობის საფუძველი მისი უაღრესად დიდი ექსპორტტევადობაა. საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს შორის პირველი ადგილი შემომყვან ტურიზმს უჭირავს, რომელიც მთლიანად ქვეყნის შიდა ბაზრის გაფართოებაზე მუშაობს, იგი სტიმულატორის როლს თამაშობს მრავალი სხვა დარგის განვითარებაში და სავალუტო შემოსავლების გენერირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მისი წინსვლისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შიდა ტურიზმის განვითარება, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე სოციალურ-კულტურულ სფეროსა და ეკოლოგიაზე. იგი ხელს უწყობს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური აქტივების სტიმულირებას, შემოსავლების განაწილებას და რეგიონების ეკონომიკური დონის გათანაბრებას.

საქართველოს ტურიზმის პრიორიტეტულობის მაჩვენებლებს შორის ერთ-ერთი კრიტერიუმია რეგიონთა ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) [3].

სადღეისოდ მსოფლიოში რეკრეაციული და ეკოლოგიური მიზნებით მოგზაურობა ტურისტული ბაზრის განსაკუთრებით მზარდი სეგმენტია. ტურისტებს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებთ ბუნებრივი გარემო და კულტურის ტრადიციული ფორმები, მათ იზიდავთ ეკოლოგიურად საინტერესო ადგილები.

საქართველოში, ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას პირველ რიგში აუცილებელია ტურიზმის უმთავრესი ფაქტორის – ქვეყნის უნიკალური რესურსული პოტენციალის არსებობის გათვალისწინება.

საქართველო თავისი გეოგრაფიული, კლიმატური, ბუნებრივ-რეკრეაციული შესაძლებლობებია და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, საუკეთესო ადგილია ტურიზმისა და საკურორტო დარგის განვითარებისათვის. იგი კურორტების ქვეყანაა. აქ 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია და მთლიანად ქვეყნის მასშტა-ბით გათვალისწინებულია 38 საკურორტო-რეკრეაციული რაიონის ფორმირება, საერთო ფართობით დაახლოებით 15,4 ათ.კვ.კმ, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 22%- [4].

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში საკმაოდ ბევრია და უნიკალურია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი, შიდა ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ პერსპექტიულ ტურისტულ მიმართულებას წარმოადგენს **აგროტურიზმის** განვითარება, რომელიც ორიენტირებულია რეგიონის ან სოფლის ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული რესურსების გონივრულ და გეგმურ მოხმარებაზე, რათა შეიქმნას სპეციფიკური, კომპლექსური ტურისტული პროდუქტი, რომელიც საშუალებას მისცემს რეგიონებს, გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ადგილობრივ მოსახლეობას დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალება მიეცეს. იგი ანალოგიურია სოფლის ტურიზმის და პოპულარულია ევროპის ბევრ ქვეყანაში: საფრანგეთი, იტალია, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი და სხვა.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს. აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციიდან გამომდინარეობს სამი ძირითადი პრინციპი:

– ეკოლოგიური მდგრადობა უზრუნველყოფს საბაზო ეკოლოგიური პროცესების, ბიომრავალფეროვნების და ბიოლოგიური რესურსების ერთობლივ განვითარებას;

– სოციალური და კულტურული მდგრადობა უზრუნველყოფს ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ადამიანების ცხოვრება, მათი ერთობლივი კულტურა და ფასეულობები ყოველმხრივ დაცულია და კულტურული თვითმყოფადობა კიდევ უფრო მტკიცეა;

– ეკონომიკური მდგრადობა უზრუნველყოფს განვითარების ეკონომიკურ ეფექტიანობას, როცა რესურსების გამოყენების არჩეული მეთოდი ამ რესურსების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნების გარანტიას იძლევა;

მდგრადი ტურიზმის ფარგლებში ტურიზმის განვითარება კონტროლდება, იგი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც მოსახლეობის დასაქმება სეზონურ და შემთხვევით ხასიათს ატარებს. აგროტურიზმის შემთხვევაში სეზონურობის პრობლემა მოხსნილია. ტურიზმი ქმნის სამუშაო ადგილებს როგორც ადგილობრივი ტურიზმის სექტორში, ისე მომიჯნავე სექტორებშიც. იწვევს მომგებიანი შიდა დარგების: სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების, რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სატრანსპორტო სისტემების, ხალხური რეწვისა და საექსკურსიო-ინფორმაციული საქმის სტიმულირებას. მდგრადი ტურიზმი ქმნის მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს აგრეთვე ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების განვითარებას.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ინდუსტრიის ერთ-ერთი სექტორი, XX საუკუნის მეორე ნახევარში (50-70-იანი წლები) ევროპის კონტინენტზე (საფრანგეთი, იტალია, ხორვატია) ჩამოყალიბდა. აგროტურიზმი ლათინური წარმოშობის სიტყვაა („აგრო (agros) და მისგან ნაწარმოები „აგრარული"-დან (agrarius)

მომდინარეობს). ევროპის კონტინენტზე მისი, როგორც სპეციფიკური ტურისტული პროდუქტის განვითარება შემთხვევითი არ ყოფილა. ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების გამო აუცილებელი გახდა სოფლების შენარჩუნებაზე ზრუნვა, საჭირო გახდა იმის დამტკიცება, რომ ადგილობრივი მეურნეობებისათვის შემოსავლების წყარო მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მეცხოველეობის მეურნეობა არ იყო (რითაც ფერმერი თავს ვეღარ ირჩენდა), იყო კიდევ სხვა საშუალებები, მაგალითად, აგროტურიზმი. საფრანგეთში სოფლების დაცარიელების უდიდესი საფრთხის შექმნის გამო განგაში გამოცხადდა და სახელმწიფომ ფინანსური სახსრები გამოყო მიტოვებულ ქოხებსა და სახლებში ოჯახების დასაბრუნებლად და ღვინის და ყველის საწარმოებლად (რითაც ეს ქვეყანა ყოველთვის ამაყობდა). ამავე დროს, ამ ობიექტებში მათ ხელი შეუწყვეს აგროტურიზმის განვითარებას, რითაც ფერმერებს გაუჩნდათ დამატებითი შემოსავლების წყარო და, მოგვიანებით, ზოგან ძირითადი შემოსავლის წყაროც. ანალოგიური სიტუაცია განვითარდა იტალიაშიც, სადაც ისევ სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ დიდი როლი ითამაშა აგროტურიზმის განვითარებაში და, ამავდროულად, ხელი იმანაც შეუწყო, რომ მსოფლიოში გაიზარდა ბუნებაში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენების სურვილი. აგროტურიზმმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განვითარების განსხვავებული გზები გაიარა, გამომდინარე ქვეყნის განსხვავებული პოლიტიკური, გეოგრაფიულ-კლიმატური თუ მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული მდგომარეობიდან. აგრარული ტურიზმი აგროეკონომიკის შემადგენელი ნაწილია.

საბაზრო სისტემის მეურნეობრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს აგროტურისტული ბაზარი წარმოადგენს. განვითარების პროცესში ის უნდა აკმაყოფილებდეს საბაზრო მოთხოვნებს (მაგ., კერძო მესაკუთრეობის, მეწარმის ეკონომიკური განკერძოება, შრომის დანაწილება), რომლებიც საბაზრო ურთიერთობების დროს წარმოიქმნება.

აგროტურიზმის განვითარება განაპირობა სხვადასხვა მიზეზებმა: დარგობრივ სტრუქტურებში ღრმა გარდაქმნებმა და ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა (მაგ., სოფლის მეურნეობის წარმოებაში მიმდინარე კრიზისი, ზოგიერთი ტურისტული პროდუქტის მიმართ მორალური ცვეთა და მათი მოდერნიზაციის აუცილებლობა), რამაც, უმეტეს შემთხვევაში ფერმებში მუშახელის გამოთავისუფლება გამოიწვია. თავისუფალი მუშახელი დასაქმებას იწყებს არაფერმერულ ეკონომიკაში, რომელიც ქმნის 30-50%-ის შემოსავლებს მთელ მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ სოფლად არაფერმერული მეურნეობის საკმარისი პოტენციალი არსებობს, რაც ერთი შეხედვით არ ჩანს; საზოგადოებაში სოციალლურმა ძვრებმა (მაგ., ქონებრივი დაყოფა); რეგიონულმა დისპროპორციამ; სოფლების განვითარების ჩამორჩენილობამ; განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონებში ტურისტული რესურსების არსებობამ და სხვა.

აგრარული ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორებია:

1. ტურისტული რესურსების არსებობა რეგიონში.
2. განთავსებისათვის თავისუფალი ადგილების არსებობა.
3. ისეთი ორგანიზაციულ-ფინანსური და სამართლებრივი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონში ან სოფელში აგროტურიზმის განვითარებას (იგულისხმება ფერმერული ასოციაციების და ლოკალური ტურისტული ცენტრების ჩამოყალიბება, ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირება და ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან) [6].

აგროტურიზმის კონცეფცია ორიენტირებულია სოფლად მცირე საოჯახო მეურნეობების განვითარებაზე. მისი განვითარების აუცილებელი პირობაა ტურისტის განთავსება უშუალოდ სოფლის დასახლებაში ან მცირე ქალაქში, სამრეწველო ცენტრიდან და მრავალსართულიანი სახლებიდან შორს, რისთვისაც

აუცილებელია შეიქმნას თავისუფალი განთავსების ფონდები სოფლებში, სადაც შესაძლებელი იქნება ტურისტების დაბინავება (მაგ., სოფლის სახლი, კოტეჯი, მონასტერი, აგროტურისტული სოფელი, მონადირის ან მეთევზის სახლი, კემპინგი და სხვ.).

აგროტურიზმი ტურიზმის განსაკუთრებული მიმართულებაა, გამომდინარე ტურისტული პროდუქტის თვისებების, მისი მომხმარებლის, პროდუქტის შინაარსის და დანიშნულებისაგან. აგროტურიზმი არ მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს, ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად საჭიროა გაცილებით ნაკლები ხარჯები. იგი გულისხმობს ტურისტების განთავსებას თვით ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ან იქაური ცხოვრების გაცნობის მიზნით. მასპინძლები ემსახურებიან სტუმრებს, სტუმრები კი, თავის მხრივ, მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაში, მიირთმევენ ადგილობრივ პროდუქტებს. აგროტურიზმის სპეციფიკურობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ინდივიდუალურია რეგიონის ყველა კუთხისათვის. დასვენება შეიძლება შედარებით მცირე დანახარჯებით და ხელმისაწვდომია საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ტურისტებისათვის. ეს ტურიზმი საინტერესოა იმითაც, რომ მასზე მოთხოვნა არ შეიზღუდება სეზონურობის გამო. სოფელი ნებისმიერი ტურისტისათვის ზაფხულშიც და ზამთარშიც მიმზიდველია. აგროტურიზმის პრეროგატივაა ქვეყნის მცხოვრებთა სტუმარმასპინძლობის ბუნებრივი პოტენციალის წარმოჩენა. ბუნებრივ სამყაროში იგი ნებისმიერ მსურველს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვრული პერიოდით შეიცვალოს ცხოვრების სტილი. ბუნების უნიკალურ წიაღში აგრარულ ტურიზმს შეუძლია შეეწყოს ტურიზმის სხვა ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა საცხენოსნო ტურიზმი, სამონადირეო, მეთევზეობის, მეღვინეობის ტურიზმი და სხვა. ამდენად უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახადოს დასვენება ბუნებაში. ტურისტებს შეუძლიათ აგრეთვე დაათვალიერონ სოფლის ბუნების უნიკალური ადგილები, ხალხური ხუროთმოძღვრული ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობების ობიექტები. ტურისტებს შესაძლებლობა ეძლევათ, გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს.

საქართველოში აგროტუროზმის განვითარებას განაპირობებს ქართული ტრადიციები, სტუმარმასპინძლობის მდიდარი გამოცდილება, ეროვნული და ხალხური ადათ-წესები, რელიგიური და ისტორიული ძეგლების მრავალფეროვნება. ბუნების მოყვარული ტურისტების მოსაზიდად საუკეთესოა კავკასიონის უნიკალური ლანდშაფტები, თოვლიანი მწვერვალები, შავი ზღვის სუბტროპიკული ჰავა, გაშლილი დაბლობები და მაღალი მთები. ჩამოსული ტურისტების დიდ ინტერესს იწვევს ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე: რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი, გურია (რადგან ეკოლოგიურად სუფთა ადგილები იშვიათი გახდა მსოფლიოში) [5].

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გლეხური მეურნეობის ტრადიციები მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს უცხოელ ტურისტებში. მაგ., აგროტურიზმის განვითარების მეტად საინტერესო რესურსს წარმოადგენს აჭარაში ქედის რაიონის მევენახეობის ცენტრი თავისი უნიკალური ყურძნის ჯიშებით. ქედის რაიონის ღვინის ქარხნის ცნობილი პროდუქტია „ქედის ცოლიკაური“; ულამაზესი მხარე გურია აგროტურიზმისათვის საინტერესოა ხალხური რეწვით. მაგ., ხისა და თიხის ნაკეთობების დამზადებით, ყავარის გადახურვით, თაფლის მოხდით, ხალხური ტრადიციებით, შემოქმედებით, ფოლკლორით – მათი მრავალხმიანი სიმღერები აღტაცებას იწვევს ტურისტებში; თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი ცნობილია თავისი ძველი ნასახლარებით. სოფლების დიდებული ბუნება და საუკუნოვანი, დღემდე შემორჩენილი, მთებზე შეფენილი არქიტექტურული ძეგლები საინტერესო პეიზაჟებს ქმნის. აქ ძველი წეს-ჩვეუ-

ლებები, სამზარეულო, ცხოვრების ტრადიციები, ქსოვის ხელოვნება საუკეთესო პირობებს ქმნის აგროტურიზმის განვითარებისათვის.

ფაქტია, აგროტურიზმი საქართველოს სოფლებში ადგილობრივ დონეზე ვითარდება, მაგრამ არ შეიძლება მისი განხილვა რეგიონული, ეროვნული, ზოგჯერ კი საერთაშორისო კავშირებიდან გამოცალკევებულად.

მთელ მსოფლიოში ძლიერდება მოძრაობა გარემოს დაცვის მიზნით. შესაბამისად გაიზარდა მაღალი შეგნების ტურისტების რიცხვიც, რაც ხელს უწყობს აგროტურისტების რიცხვის ზრდას ნაკლებად ცივილიზებულ რაიონებში. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი გაიგონ ადგილობრივთა კულტურისა და ცხოვრების წესის შესახებ. ტურისტები, როგორც წესი, არჩევენ კარგად დაგეგმილ და მართვად ტურისტულ ცენტრებს.

აგროტურიზმის სწრაფი განვითარებისა და აგროტურისტული პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გასატანად აუცილებელია მასში უპირატესად ტურისტული ფირმების ჩართვა, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას ჯერჯერობით არ აქვს პირდაპირი მარკეტინგის, ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის ან უცხოეთში რეკლამის დაფინანსების საშუალება. სასურველია აგროტურისტული პროფილის ტუროპერატორების და შიდა ოპერატორების არსებობა. აუცილებელია რეგიონებში ტურისტული სამსახურების ჩამოყალიბება, რაც ასევე შეუწყობდა ხელს ტერიტორიების უკეთ ათვისებას ტურიზმისა და კურორტების განვითარების თვალსაზრისით, ამ საქმიანობაში უფლება-მოვალეობების ჰარმონიულ განაწილებას და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ერთი მხრივ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის. სასურველია, საინფორმაციო-სარეკლამო მასალები საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით დამზადდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ აგროტურიზმის მოტივაციაა დასვენება იაფად და ნაკლები კომფორტით, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა, სასიამოვნო გარემოში, აუცილებელია, აგროტურისტული პროდუქტი იყოს იაფი ან შედარებით იაფი.

აგროტურისტულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლისა და ადგილის შესახებ ადგილობრივ დონეზე. საინფორმაციო პორტალების, ინტერნეტკატალოგების შექმნა აგროტურისტულ ქსელებში, აგროტურისტული მეურნეობების ასოციაციების შექმნა. უნდა მოხდეს სტანდარტიზაცია და სერტიფიკაცია აგროტურიზმის სფეროში. საჭიროა სოფლის მოსახლეობის და მმართველობის რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად. აუცილებელია წინასწარ შეირჩეს ტურისტთა განთავსების საშუალებათა ნუსხა, რომლებიც დააკმაყოფილებს ყველა იმ სავალდებულო პირობას, რაც აუცილებელია ტურისტთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პირველ რიგში გასათვალისწინებელია ტურისტთა უსაფრთხოების დაცვა. სასურველია ისეთი პროგრამების შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ოჯახში თითოეული წევრის დასაქმებას, გამომდინარე დამსვენებელთა ჯგუფების მრავალფეროვნებიდან. საჭიროა სოფლის მოსახლეობის სტიმულირება, მათი ტრადიციული საცხოვრისის (კერძო სახლების) ჩართვა ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტის მისაღებად [2]. სასურველია ინვესტიციების გამოყოფა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის უზრუნველყოფა მცირე ტექნიკითა და ტექსერვისით. აღნიშნული რეკომენდაციები მიმართულია ქვეყნის ტურისტული სექტორიდან მიღებული შემოსავლების ზრდისაკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას მათი საქმიანობისა და

შემოსავლების ზრდის მეშვეობით, ეს კი მიიღწევა ტურისტების რიცხოვნობისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული დანახარჯების ზრდით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მეტრეველი მ., „ტურიზმში არსებული მდგომარეობა და განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში" – ჟ. „საქართველოს ეკონომიკა", №9. 2008, გამომცემელი: თავისუფალი ეკონომიკის ინსტიტუტი და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.
2. „საქართველოს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები" – http: /www.georgia. travel / travel / index.
3. „კულტურული ტურიზმის როლი და მისი ადგილი საერთაშორისო მოგზაურობებში" – http: / ka. wiki books. org / wiki / კულტურული ტურიზმი/.
4. მაისურაძე გ., „აგროტურიზმი და მისი მნიშვნელობა", პ. გუგუშვილის ეკ. ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. II, თბ, 2009.
5. მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები, თბ., 2008.
6. Воскресенский В. Ю., Международный Туризм, Москва, 2008.


***Ketevan Kveladze***
*Academic doctor of Economics*

## AGROTOURISM AND THE PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

**Summary**

Unique tourist – recreation resources of Georgia create favorable conditions for the development of agrotourism –one of the trends of tourism industry, oriented on the improvement of urban and rural social-economic conditions in the country, on the employment of local population and the increase of income.The motivation of agrotourism is to rest cheaply and with less comfort but in ecologically elean end pleasant situation. It is not characterized by seasonal prevalence. Does not require significant investment. It is available for tourists with low and average incomes.

## მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

*ვასილ ხიზანიშვილი*
*იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ასისტენტ-პროფესორი*

# ეთიკური ეკონომიკა: ეკონომიკურ და ეთიკურ თეორიათა სინთეზი

ეთიკური ეკონომიკა წარმოადგენს ეკონომიკურ და ეთიკურ თეორიათა სინთეზს[10]. ეკონომიკური თეორია დაკავებულია განსაზღვრული მიზნებისათვის მწირი რესურსების განაწილების საკითხით. ეთიკური თეორია ცდილობს ინდივიდუალურ და სოციალურ-სამართლებრივი მიზნების განსაზღვრას და ამ მიზნების სხვათაგან გამორჩევას. ორივე, ეთიკური და ეკონომიკური თეორიების ფუნქციათა განმარტება, გვიჩვენებს ეკონომიკისა და ეთიკის განსხვავებულობას, მაგრამ არა მათ ურთიერთისაგან სრულ გამოყოფასა და გამიჯვნას. ეკონომიკა ადგენს საშუალებათა განაწილების გადაწყვეტილებებს განსაზღვრული მიზნებისათვის. ეთიკა მიმართულია სიკეთის მიზნის და მასთან დაკავშირებულ ღირებულებათა და ნორმათა გადაწყვეტილებებზე.

ეთიკური ეკონომიკა ერთი მხრივ არის პოზიტიური თეორია, ხოლო მეორე მხრივ – ნორმატიული თეორია. ეთიკური ეკონომიკის პოზიტიური თეორია მოიცავს ეკონომიკის კულტურულ და ეთიკურ მხარეებს. ეთიკური ეკონომიკის ნორმატიული თეორია კი – ეკონომიკის მატერიალურ და ფორმალურ ეთიკას. ადამიანურ ქმედებათა ნორმატიული და პოზიტიური (ანუ დესკრიფციული) თეორია ამავე დროს ითვლება, როგორც ეთიკური და ეკონომიკური კონცეპტი ადამიანურ ურთიერთობათა ანალიზისათვის. ეს კომბინაცია ეთიკური და ეკონომიკური პერსპექტივებიდან არის ეთიკურ და ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა სინთეზი და წარმოგვიდგება ეთიკური ეკონომიკის სახით.

ეკონომიკის პოზიტიური თეორია არის ეკონომიკური ეთოსის და ეკონომიკური კულტურის ანალიტიკური და განმარტებითი პოზიტიური თეორია, როგორც აქტუალურ ეკონომიკურ ქცევათა დესკრიფციული თეორია. კულტურულ-ჰერმენევტიკული ეკონომიკა, ანუ პოზიტიური ეთიკური ეკონომიკა არის ეკონომიკურ ქმედებათა კულტურული ჰერმენევტიკა და განმარტავს კულტურული ფაქტორების გავლენას ეკონომიკურ ქმედებებსა და ეკონომიკურ კოორდინაციაზე. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მოცემულ საზოგადოებაში არსებული კულტურა და ეთოსი ახდენს ეკონომიკურ ქმედებათა ფორმირებას. ეთიკური ეკონომიკის ამ ფორმასა და ბიზნესადმინისტრირების კულტურის მეცნიერებაში, ეკონომიკურ ქმედებათა კულტურულ და ეთიკურ ფაქტორთა ანალიზში დომინირებს პოზიტიური, არანორმატიული ასპექტი. ამავე ფაქტორებით აიხსნება ეკონომიკური ფენომენიც.

ეთიკური და კულტურული ასპექტების ეკონომიკასთან დაახლოების მცდელობას ვხვდებით ჯერ კიდევ გ. შმოლერთან, რომელიც ეკონომიკურ თეორიას არ აცალკევებს ეთიკისა და სხვა სოციალურ მეცნიერებათაგან, არამედ იყენებს პოლიტიკური ეკონომიის შემაკავშირებელ, ინტეგრირებად კონცეპტად, რომელიც აანალიზებს ეთიკურ და კულტურულ განმსაზღვრელ ფაქტორებს და აკავშირებს ეთიკის და კულტურის სწავლების მეთოდოლოგიურ დაახლოებას

[10] Koslowski, P., (Editor), Ethics in Economics, Business, and Economic Policy, Springer-Verlag Berlin. Heidelberg 1992, P. 17.

ეკონომიკურ თეორიასთან. აღნიშნული ერთობის შესახებ იგი წერს: „საერთო ელემენტი, რაც ეკონომიკური ფორმით დაკავშირებულია როგორც ინდივიდთან, ისე ხალხთან, უფრო ღრმაა, ვიდრე ამ სახით სახელმწიფოს გააზრება: ენის, ისტორიის, ხსოვნის, ტრადიციებისა და იდეების ერთობა არის ერთობლივი ეთოსი, რასაც ბერძნები უწოდებდნენ ზნეობრივ – სულიერ საერთო ცნობიერებას და რაც ადამიანთა ყველა ქმედებაზე, მათ შორის ეკონომიკურზე, ახდენდა და დღესაც ახდენს გავლენას“[11].

ეთიკის დაახლოება ეკონომიკასთან ეხება ეკონომიკის კულტურულ სფეროს და ეკონომიკას, როგორც ეთიკურ და კულტურულ დისციპლინას, რადგან ეკონომიკური წესრიგი აგებულია ხალხის თუ ერის ეთიკურ-მენტალურ-კულტურულ ცნობიერებაზე, რადგან ის აღმოცენდებოდა ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში. ეკონომიკური წესრიგი არის საზოგადოების კულტურული და ეთიკური წესრიგის ნაწილი, სადაც ეკონომიკა წარმოადგენს კულტურის ცენტრალურ ასპექტს.

ეკონომიკის პოზიტიური თეორია, როგორც ეკონომიკის კულტურულ-ეთიკური ფორმა მოგებაზე ორიენტირებული მოტივების მიღმა, ეფუძნება ეთიკურ და კულტურულ მოტივებს, რომლებმაც ასახვა უნდა პოვოს არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების და წარმოების თეორიის უპირატესობათა გამოვლენის თვალსაზრისით, არამედ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კულტურულ ფაქტორთა ანალიზითაც. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის თეორია უნდა შეიცავდეს ორივეს – როგორც ეკონომიკის ეთიკურ-კულტურულ მოტივებს, ისე გარე ეკონომიკურ მიზეზებსაც, რომლებიც განსაზღვრავს თავად მოთხოვნა-მიწოდებას.

ეთიკური ეკონომიკა, რაზეც საუბარია ეთიკურ, ისტორიულ, კულტურულ და ეკონომიკურ თეორიებში, ცხადად აჩვენებს, რომ წმინდა ეკონომიკური თეორია უნდა შეივსოს ეთიკური და კულტურული თეორიებით, რადგან ეკონომიკურ ქმედებებში ყოველთვის არსებობს ეთიკურ-კულტურულ ინტერესთა გავლენა ნორმებსა და ქცევათა მოლოდინებთან მიმართებაში.

ეთიკური და კულტურული ეკონომიკური თეორია, როგორც ეკონომიკის პოზიტიური თეორიის გაგება, უნდა დასრულდეს ნორმატიულ ეთიკურ ეკონომიკასთან, ურომლისოდაც ეკონომიკური კოორდინაცია და პრეფერენციათა ფორმირება შეუძლებელია.

ეთიკური ეკონომიკის მეორე მხარეს წარმოადგენს ეკონომიკურ ქცევათა ნორმატიული თეორია, რომელიც უკავშირდება ეკონომიკის მორალურ ნორმებს. ეთიკის, როგორც კულტურული ეთოსის ეს ორაზროვნება ეთიკურ ეკონომიკაში დადის დიქოტომიამდე*. ეკონომიკურ ქმედებათა კონტექსტში იგი იყოფა ეკონომიკის ეთიკური კოორდინაციის ფორმალურ ეკონომიკურ ეთიკად და პრეფერენციათა ფორმირების მატერიალურ ეკონომიკურ ეთიკად. ეთიკური ეკონომიკის ნორმატიული ნაწილი აკვირდება პრეფერენციათა ფორმირებისა და ქმედებათა კოორდინაციის ფორმებს, რომლებიც, მორალური თვალსაზრისით, მისაღებად მიიჩნევა ეკონომიკაში. ეთიკური ეკონომიკის ეს ნორმატიული მხარე, ე.ი. ნორმატიული ეკონომიკური ეთიკა, იყოფა მატერიალურ და ფორმალურ

[11] Schmoller, G.: Über einige Grundfragen des Rechts und der Volkswirtschaft (Offens Sendschreiben an Herrn Prof. Dr. Heinrich von Treitschke), Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik, Berlin 23 (1874), P. 254.

* დიქოტომია [ბერძ. dichotomia ორად გაკვეთა] მთელის გაყოფა ორად, შემდეგ თითოეული ნაწილისა კვლავ ორად და ა.შ; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989, გვ. 138.

ეთიკურ ეკონომიკად. მატერიალური ეთიკა მოიცავს გამოცდილებით, განსჯით და არჩევით ფასეულობებს ეკონომიკაში, მაშინ, როდესაც ფორმალური ეთიკა მოიცავს ეკონომიკურ ქმედებათა კოორდინაციას.

მატერიალურ ეთიკურ ეკონომიკას, როგორც მატერიალური ფასეულობებისა და საქონლის თეორიას, დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ნორმატიული ეთიკური ეკონომიკისათვის, არამედ პოზიტიური ეთიკური ეკონომიკისთვისაც. ის ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკის კულტურისათვის, რამდენადაც იგი შეიცავს გადაწყვეტილებათა მიღების წვდომისა და ჰერმენევტიკის თეორიას ფასეულობების შესახებ. აქედან გამომდინარე, იგი გვიჩვენებს კავშირს ნორმატიულ და პოზიტიურ ეთიკურ ეკონომიკას შორის. იგი აანალიზებს ქმედებათა კოორდინაციას, რომელიც დაფუძნებულია მოცემულ პრეფერენციებზე. მატერიალური ეთიკური ეკონომიკა წინ უსწრებს ფორმალურ ეთიკურ ეკონომიკას, რომელიც ცდილობს სხვათა პრეფერენციებისა და ქმედებების შიდა ფორმირების მიღწევას.

ფორმალური ეთიკური ეკონომიკა იკვლევს ეკონომიკური კოორდინაციის პრობლემას და ფოკუსირდება სოციალური კოორდინაციის გაუმჯობესების ირგვლივ. იგი სრულყოფს ბაზრის კოორდინირების უნარს და ახდენს შესაძლო გარე ეფექტების ინტერნალიზებას საკუთარ ქმედებებში. ფორმალური ეთიკური ეკონომიკა ცდილობს გარკვევას ეთიკურ და ეკონომიკურ სიკეთეს შორის არსებულ პრეფერენციათა თაობაზე, თუმცა უპასუხოდ ტოვებს კითხვას, თუ რა პოზიციას იკავებს ადამიანი მატერიალურ და მორალურ ფასეულობებს შორის. ამ სირთულის გადაჭრაში მას ეხმარება მატერიალური ეთიკური ეკონომიკა. ეთიკური ეკონომიკის ეს ფორმა, კოორდინაციის ფორმალურ ეთიკასა და პრეფერენციათა მატერიალურ ეთიკას შორის არსებული კავშირი, იმდენად ღრმაა, რომ შეუძლებელია მათი ცალსახად გაერთმნიშვნელოვნება, ან, პირიქით, მათი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნა.

პოზიტიურ ეკონომიკურ თეორიას და ნორმატიულ ეკონომიკურ თეორიას შორის არსებობს მკაფიო ზღვარი ეფექტიანობის და სამართლიანობის – ამ ორ ძირითად და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით. ეფექტიანობა განიხილება პოზიტიური თეორიის ნაწილად, რომელსაც კავშირი აქვს ფაქტებთან, ხოლო სამართლიანობა არის ნორმატიული თეორიის ნაწილი, რომლის მსჯელობის საგანია კონკრეტული ეკონომიკური პირობებისა და პოლიტიკური ავკარგიანობის საკითხები.

ნორმატიულ ეკონომიკურ თეორიას კავშირი აქვს როგორც საქონლის სამართლიანი განაწილების პრობლემასთან, ასევე არჩევანის სამ ძირითად სახეობასთან: 1) რა ვაწარმოოთ? 2) როგორ ვაწარმოოთ? 3) ვინ აწარმოოს? – ეს ნორმატიული პრობლემები მოიცავს ეთიკური ეკონომიკის ყველა მხარეს, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეთიკური კოორდინაციის ასპექტებს.

პოზიტიური ეკონომიკური თეორია არ იძლევა არანაირ შეფასებით მსჯელობებს. ის ფოკუსირდება იმ პროცესების ქმედებათა შედეგებზე, რომლებიც ყველაზე უფრო პრიორიტეტულია ინტერაქციულ ურთიერთობებში. კერძოდ, ეს თეორია აანალიზებს ეკონომიკის ფუნქციონირებას, განსაზღვრული ინსტიტუციებისა და პოლიტიკური ქმედებების გავლენას ეკონომიკურ სისტემაზე. იგი აკვირდება ფაქტებს შორის კავშირს და ეძიებს ზოგად კანონზომიერებს მიმდინარე პროცესებში[12].

---

[12] http://www.ru.science.wikia.com

* დელიქტი [ლათ. delictum] კანონის დარღვევა, სამართალდარღვევა, დანაშაული. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, გვ. 120.

